2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი

2020

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: გიორგი ტყებუჩავა
რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, გიორგი კაკუბავა

ფოტო ყდაზე: ინტერპრესნიუსი

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

1. შესავალი 4
2. კვლევის მეთოდოლოგია 5
3. 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები .. 6
   I. ირაკლი ოქრუაშვილის საქმე 6
   II. ნიკანორ მელიას საქმე 7
      ბრალდების არსი 7
      გენერალური პროკურორის მიმართვა საპარლამენტო მანდატის შეზღუდვაზე. 8
      თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების შეფასება 9
      თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების შეფასება 10
      სასამართლო მონიტორინგი 11
      სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) თბილისის საქალაქო სასამართლოს ნიკანორ მელიას საქმეზე 11
      ნიკანორ მელიასთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა 13
   III. გიორგი რურუას საქმე - ,,მთავარი არხის" ერთ-ერთი მეწილე 14
      ბრალდების არსი 14
      სავარაუდო პოლიტიკური მოტივი 15
      სასამართლო მონიტორინგი 15
   IV. გიორგი ჯავახიშვილისა და თორნიკე დათაშვილის საქმე 16
      ბრალდების არსი 16
      სასამართლო მონიტორინგი 16
   V. თამლიანის, ბუდაღაშვილის, კუპრეიშვილისა და სოსელიას საქმე 17
      ბრალდების არსი 17
      სასამართლო მონიტორინგი 17
      ზურაბ ბუდაღაშვილის სამარტოო საკანში გადაყვანის ფაქტის შეფასება 20
   VI. მორის მაჩალიკაშვილისა და ბეჭან ლორთქიფანიძის საქმე 21
      ბრალდების არსი 21
      სასამართლო მონიტორინგი 21
4. საპროცესო შეთანხმებების დადების პრაქტიკა 24
5. აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პრაქტიკა 25
6. შერჩევითი სამართალი 26
7. დასკვნა 29

1. შესავალი

2019 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო გამოსვლების დარბევა საქართველოს უახლეს ისტორიაში მრავალმხრივ გარდამტეხი მნიშვნელობის მოვლენაა. მრავალათასიანი საპროტესტო აქცია მოჰყვა თბილისში, ე.წ. მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესიის მიმდინარეობისას, რუსეთის დუმის დეპუტატის, სერგეი გავრილოვის მიერ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლის დაკავებას და პარლამენტში რუსულ ენაზე სესიის ჩატარებას. საპროტესტო აქციის ძალის გადამეტების დაშლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრება. სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა სისხლისსამართლებრივი დევნისას მართლმსაჯულების ორგანოების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ ადგილობრივ[1] თუ საერთაშორისო დონეზე გაჩნდა მრავალი ეჭვი, რაც უკავშირდება არაერთი სამოქალაქო აქტივისტის, დემონსტრანტისა თუ პოლიტიკურად აქტიური პირის სისხლისსამართლებრივ დევნას, მათ შორის - სავარაუდო დანაშაულების გაცოცხლებას, გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებს თუ გამოყენებულ პატიმრობებს, სადაც პოლიტიკური მოტივები იკვეთება[2].

2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, ადგილობრივი თუ საერთაშორისო[3]-[4] და სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის[5], მათ შორის - ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის[6], განსაკუთრებული შეფასების საგანი გახდა: აქციის დაშლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ლეგიტიმურობა და პროპორციულობა; მოვლენებთან დაკავშირებული პირების მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა და ამ პირთა საქმეების სასამართლოებში განხილვის პრაქტიკა; გამოყენებული პატიმრობები და გამამტყუნებელი განაჩენები; ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებაში ჩარევის შემთხვევები; დაზარალებულად ცნობაზე უარის საკითხები; სამართალდამცავთა მხრიდან ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, არასათანადო მოპყრობის ფაქტები და მათზე სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიან და ობიექტურ გამოძიებაზე უარის თქმის საკითხები.

ადამიანის უფლებათა ცენტრისა და სხვა უფლებადამცველი ორგანიზაციების შეფასებით[7], სამართალდამცავთა ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარნენ ის პირებიც, რომლებიც დაკავების შემდეგ სამართალდამცავთა ეფექტიანი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათ მიერ განხორციელებულმა ფიზიკურმა და სიტყვიერმა ძალადობამ მიაღწია სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რაც ქმნის დაკავებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის საფუძველს და საჭიროებს გამოძიებას შესაბამისი პასუხისმგებელი პირების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით. მომხდარი ფაქტიდან გასული ხანგრძლივი ვადის მიუხედავად, სულ რამდენიმე სამართალდამცავის მიმართ დაიწყო გამოძიება სავარაუდო უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, რაც ჯერ კიდევ სასამართლოს პირველ ინსტანციაში (თბილისის საქალაქო

[1] იხ. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლისა და მისი წევრი ორგანიზაციების განცხადება: https://bit.ly/2MCNQvF. 2019 წლის 9 აგვისტო.

[2] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: https://bit.ly/2AwUhO6. ბოლოს ნანახია 01.06.2020.

[3] ადამიანის უფლებათა ცენტრის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციისა და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის განცხადება: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19893&lang=geo

[4] იხ. საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-ის განცხადება: https://bit.ly/2AR3IIA.

[5] იხ. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ,,20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში. 2020 წელი. https://bit.ly/2Afi5WV. ასევე, იხ. U.S. Department of State, ,,Country Reports on Human Rights Practices: Georgia". 2020 წელი: https://bit.ly/30kArAs.

[6] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი ანალიზი - „20-21 ივნისის მოვლენები", 2019 წ.: https://bit.ly/2Y9UWqK. *აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ერთ-ერთ მთავარ წყაროდ იყენებს ადამიანის უფლებათა ცენტრის 20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივ ანალიზს.*

[7] იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება - „დაკარგული თვალის მიღმა" 2019 წ.: https://bit.ly/37gv32P; იხ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) პირველადი სამართლებრივი შეფასება, „20 ივნისის მოვლენები: აქციის დაშლა და ადამიანის უფლებების დარღვევის ძირითადი პრაქტიკა (პირველადი სამართლებრივი შეფასება)": https://bit.ly/2MF81t6.

სასამართლო) განიხილება და არცერთი მათგანის მიმართ არ გამოცხადებულა განაჩენი. ეს მაშინ, როდესაც სამოქალაქო აქტივისტებისა თუ პოლიტიკური პირების მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე, აქტიურად მიმდინარეობს სამართალწარმოების პროცესი, ზოგიერთის მიმართ კი უკვე გამამტყუნებელი განაჩენიც დადგა[8].

წინამდებარე დოკუმენტის მიზანი, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორედ 20-21 ივნისის მოვლენების შემდეგ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის ფაქტებისა და სხვადასხვა პირთა წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასებაა. დოკუმენტში გაანალიზდა სამოქალაქო აქტივისტების, ოპოზიციური პარტიების და მედიის წარმომადგენელთა საქმეები, ვის მიმართაც დაირღვა საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტებით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების, არასათანადო მოპყრობისგან დაცვის, სწრაფი და ხარისხიანი მართლმსაჯულების, სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებები.

2. კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილი კვლევა, უშუალოდ ეფუძნება ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორების სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიშებს, იდენტიფიცირებულ პრობლემურ მატერიალურ და საპროცესო-სამართლებრივ საკითხებს, ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან და მათ უფლებადამცველებთან ინტერვიუების გზით მიღებულ ინფორმაციას, სხვადასხვა დოკუმენტს და კვლევისას გამოვლენილ მიგნებებს. კვლევის პროცესში შესწავლილია საქმეებში არსებული ბრალდების შესახებ დადგენილებები, დაცვისა და ბრალდების მხარეების შუამდგომლობები, სასამართლოების მიერ მიღებული განჩინებები, შუალედური გადაწყვეტილებები, განაჩენები, სახალხო დამცველის მიერ საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაგზავნილი სასამართლო მეგობრის მოსაზრებები (*Amicus Curiae)*, ვენეციის კომისიის *(Venice Commission)* ანგარიშები/დასკვნები, ევროპის საბჭოსა *(Council of Europe*) და საერთაშორისო ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიის“ *(Amnesty International*) მიერ შემუშავებული, პოლიტიკური პატიმრის შესახებ კრიტერიუმები.

კვლევაში, ასევე, ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლოების გადაწყვეტილებებთან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური გადაწყვეტილებების მისადაგების საფუძველზე, წარმოდგენილია შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, რომელიც უფრო ნათლად წარმოაჩენს პრობლემურ სამართლებრივ საკითხებს, საქმეების მიმართ სახელმწიფო ხელისუფლების დაინტერესებას, მართლმსაჯულების ორგანოების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ჩარევას, რაც უხეშად არღვევს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

[8] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: https://bit.ly/2AwUhO6. ასევე - „გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“, ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წელი: https://bit.ly/2XEXPFN.

3. 20–21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის პარალელურად ამ დოკუმენტში განხილული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის მიზანს წარმოადგენს არა ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირთა დამნაშავეობა/უდანაშაულობის დადგენა, არამედ სამართალწარმოების პროცესში გამოვლენილი დარღვევებისა და პრობლემების იდენტიფიცირება. ამასთან, თითოეული პრობლემური საკითხი, შეფასებულია ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

I. ირაკლი ოქრუაშვილის საქმე

პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ დამფუძნებელი, ირაკლი ოქრუაშვილი 2019 წლის 25 ივლისს დააკავეს[9]. პროკურატურა მას 2019 წ. 20-21 ივნისის მოვლენებისას ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას (სსკ-ის 225-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და მასში მონაწილეობას (სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ედავებოდა[10].

თბილისის საქალაქო სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში (ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობა) გაამართლა[11]. საქართველოს პროკურატურა ირაკლი ოქრუაშვილისთვის ამ ბრალის დამტკიცებას ორ ეპიზოდში ცდილობდა. ბრალდების დადგენილებით, პირველი ეპიზოდი ეხებოდა საქართველოს პარლამენტის გვერდითა შესასვლელთან, ჭიჭინაძის ქუჩაზე, ირაკლი ოქრუაშვილის სამართალდამცავებთან მისვლას, ხოლო მეორე ეპიზოდი, პროკურატურამ მთლიანად ერთი პოლიციელი მოწმის ჩვენებას დაამყარა, რომლის თანახმად, მაშინ, როცა აქციის მონაწილეები ცდილობდნენ პარლამენტის ეზოში შეჭრას, მან იქვე შენიშნა ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც ხალხის მასასთან ერთად იძახდა: „წინ, წინ!“ და მიიწევდა პარლამენტის შენობისკენ[12]. *თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის თანახმად, პირველ ეპიზოდში არ გამოიკვეთა ქმედების ისეთი დანაშაულებრივი ნიშნები, რაც ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას დაამტკიცებდა. სასამართლო პროცესებზე ვერ იქნა წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულებები, რითაც დამტკიცდებოდა ირაკლი ოქრუაშვილის თანმხლები პირების ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა, რაც, სასამართლოს შეფასებით, თავისთავად გამორიცხავდა ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას. ხოლო მეორე ეპიზოდში, სასამართლომ სამართლიანად მიიჩნია, რომ ცალკე აღებული სიტყვები „წინ, წინ!“ - მათი კონტექსტისა და მიმართვის ადრესატთა დადგენის გარეშე, ჯგუფური ძალადობრივი მოქმედებების ხელმძღვანელობად ვერ ჩაითვლებოდა.*

სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში[13]. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ძალადობრივი ქმედებები გამოიხატა პოლიციის კორდონზე მიწოლაში, ასევე - ერთ-ერთი პოლიციელისთვის ხელზე მოქაჩვასა და გამოწევის შედეგად მისი წინააღმდეგობის დაძლევაში. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი დაეყრდნო 4 მოწმის ჩვენებას. ოთხივე პოლიციელია. *როგორც განაჩენის შესწავლისას დადგინდა, ირაკლი ოქრუაშვილის საქმეში სსკ-ის 225-ე მუხლის სასამართლოსეული განმარტება, სამართლებრივად პრობლემურია. იგი არ ითვალისწინებს*

[9] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/36Tylc5. ბოლოს ნანახია: 29.05.2020.
[10] იხ. დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, თბილისი. 26.07.2019. დოკუმენტის N0013218149.
[11] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/2YaDHf6. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.
[12] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში. არსებითი განხილვა: 10.01.2020; 13:20-14:12 საათი.
[13] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/2YaDHf6. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

კანონმდებლის მიზანს, აღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებისა და საჯარო ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და არ მოხდეს მუხლის იმგვარი განმარტება, რომ მასში მოექცეს სხვა მუხლებით, ფაქტობრივად ახლოს მდგომი შემადგენლობების მქონე სისხლის სამართლის საქმეები.

მძიმე საერთაშორისო წნეხიდან გამომდინარე[14], რომელიც ირაკლი ოქრუაშვილის საქმეში სავარაუდო პოლიტიკური მოტივების არსებობას უკავშირდება, საქართველოს პრეზიდენტმა შეწყალების აქტის საფუძველზე პოლიტიკური პარტია „გამარჯვებული საქართველოს" ლიდერი, ირაკლი ოქრუაშვილი 2020 წლის 15 მაისს, შეიწყალა[15]. მსჯავრდებულმა შეწყალების აქტის გამოცემის დღესვე - 2020 წლის 15 მაისს დატოვა პენიტენციური დაწესებულება.

ადამიანის უფლებათა ცენტრი სასამართლოში აქტიურად აკვირდება ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც ეხება ამირან (ბუტა) რობაქიძის გარდაცვალებას 2004 წელს სამართალდამცველთა სპეცოპერაციისას. ამ სისხლის სამართლის საქმეზე ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი, ოფიციალურად, დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე - 2019 წლის 19 ნოემბერს წარედგინა[16]. საქართველოს პროკურატურა მას სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავება, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ცალკე გამოაქვეყნებს ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასების შესახებ კვლევას.

II. ნიკანორ მელიას საქმე

2019 წლის 25 ივნისს საქართველოს პროკურატურამ საქართველოს პარლამენტის წევრს, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარეს, ნიკანორ მელიას 2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ბრალდება წარუდგინა[17].

➢ <u>ბრალდების არსი</u>

ბრალდების დადგენილებით, 2019 წლის 20 ივნისს მოქალაქეთა შეკრების მიმდინარეობისას, დაახლოებით 21:00 საათზე, საქართველოს მოქალაქეებს სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის წევრმა ნიკანორ მელიამ და განაცხადა, რომ თუ ერთ საათში მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდებოდა, ყველას უნდა გადაენაცვლა უშუალოდ საქართველოს პარლამენტის შენობაში[18]. ვინაიდან მოთხოვნები არ შესრულდა, პარლამენტის სასახლეში შეჭრის მიზნით, მიტინგზე შეკრებილმა მოქალაქეების ნაწილმა, ნიკანორ მელიას ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით, დაიწყეს პარლამენტის წინ, პერიმეტრზე განლაგებული სამართალდამცავების მიმართ ძალადობა, იარაღად სხვადასხვა ნივთების გამოყენებით მათზე თავდასხმა, ასევე სამართალდამცავთა კუთვნილი ნივთების დაზიანება და განადგურება. დადგენილების თანახმად, ამ ძალადობრივი ქმედებების შედეგად, სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღეს როგორც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა, ასევე, პროტესტის მშვიდობიანად გამოხატვის მიზნით, იქ შეკრებილმა მოქალაქეებმა.

---

[14] იხ. აშშ-ის საელჩოს განცხადება ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებაზე: https://bit.ly/36BrWCi; აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობა კომიტეტის თავმჯდომარის - ჯიმ რიშისა და სენატორი ჯინ შაჰინის განცხადებები: https://bit.ly/3e0ZxbN; იხ. ერთობლივი განცხადება: https://bit.ly/2AxeT9n; იხ. ევროპარლამენტარების განცხადება: https://bit.ly/3fmLQUN.

[15] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/37sxaAF. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

[16] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/2XYsNtZ. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

[17] იხ. საქართველოს პროკურატურის განცხადება: https://bit.ly/3f0Ze0z. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

[18] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი ანალიზი, ,,20-21 ივნისის მოვლენები", გვ. 5-6. 2019 წელი: https://bit.ly/2Y9UWgK.

➢ <u>გენერალური პროკურორის მიმართვა საპარლამენტო მანდატის შეზღუდვაზე</u>

2019 წლის 25 ივნისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ პარლამენტს ნიკანორ მელიას სადეპუტატო მანდატის მოხსნის მოთხოვნით მიმართა[19]. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლისა[20] და პარლამენტის რეგლამენტის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის[21] შესაბამისად, პარლამენტის წევრის დაპატიმრება შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. ამის გათვალისწინებით, სასამართლოსთვის ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მიზნით, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს პარლამენტს მიმართა თხოვნით, რომ გაეცა კანონით გათვალისწინებული თანხმობა მისი დაპატიმრების თაობაზე[22].

საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის წევრს იმუნიტეტი იცავს, მაგრამ დანაშაულის ჩადენისას, ეს დაუსჯელობის გარანტიას არ წარმოადგენს. პარლამენტის წევრს სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული შეხედულებებისათვის, მაგრამ იმუნიტეტის მოხსნა შესაძლებელია დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდისას[23].

გენერალური პროკურორის მტკიცებით[24], ბრალდებულ ნიკანორ მელიას მიმართ არსებობდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენების როგორც ფორმალური, ისე ფაქტობრივი საფუძვლები. გენერალურმა პროკურორმა მიუთითა, რომ აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება, ჩაიდენს ახალ დანაშაულს და ხელს შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებასა და მტკიცებულების მოპოვებას[25].

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ წარდგენილი წინადადება ფორმალურია, მასში წინასწარი პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის დამადასტურებელი რიგი მნიშვნელოვანი ასპექტები სათანადოდ არ არის წარმოდგენილი და დასაბუთებული, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა[26], რაზეც პროკურატურა მიუთითებს, ფაქტობრივი გარემოებებითა და მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, არ შეესაბამება ნიკანორ მელიას წინამდებარე საქმეს.

ვენეციის კომისიის ანგარიშის თანახმად, იმუნიტეტის გამოყენების და მოხსნის წესები უნდა იყოს მკაფიო და ზუსტი, გამჭვირვალე და მიუკერძოებელი პროცედურებით. კომისია მიუთითებს, რომ თანამედროვე პირობებში საპარლამენტო იმუნიტეტი ფუნქციონირებს ძირითადად, უმცირესობის გარანტიის სახით[27]. ეს ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით, ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის გარანტიები ვერ დაიცავენ პარლამენტარს მის მიერ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებების თაობაზე, პოტენციურად გაუთავებელი სამართლებრივი დავებისაგან, რომელიც შეიძლება ინიცირებული იყოს როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან. ამგვარ სამართლებრივ დავებს, de facto, შეუძლიათ შეზღუდონ პარლამენტარების მიერ საკუთარი შეხედულებების გამოხატვის

19 [19]იხ. საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართვა N013/4 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ქ.-ნ თამარ ჩუგოშვილს. 25.06.2019 წელი: https://bit.ly/2UqlhGi. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

[20] იხ. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: https://bit.ly/3dHBHle. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

[21] იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილი: https://bit.ly/3dMSEKQ.

[22]იხ. საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართვა N013/4 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ქ.-ნ თამარ ჩუგოშვილს. 25.06.2019 წელი: https://bit.ly/2UqlhGi. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

[23] იხ. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები: https://bit.ly/3dHBHle.

[24] იხ. საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართვა N013/4 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ქ.-ნ თამარ ჩუგოშვილს: https://bit.ly/2UqlhGi.

[25] იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილი: https://bit.ly/2APwDN7.

[26] იხ. საქმე Wettstein v. Switzerland, 26 იანვარი, 1993, პარაგრაფი 33; სტრასბურგი, 2000 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება: https://bit.ly/2zdaWG7; იხ. საქმე Barfuss v. the Czech Republic, 1 აგვისტო, სტრასბურგი, 2000; https://bit.ly/2ASinTv; იხ. საქმე Punzelt v. the Czech Republic, 25 აპრილი, სტრასბურგი, 2000; ასევე იხ. ,,კონრადი იტალიის წინააღმდეგ", 2000.

[27] იხ. იხ. ვენეციის კომისიის 2014 წლის 14 მაისის ანგარიში: https://bit.ly/2MHk9cQ.

თავისუფლება იმდენად, რომ ეჭვის ქვეშ დადგეს სადეპუტატო მანდატის ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა[28]. ამიტომ, საპარლამენტო იმუნიტეტი და პარლამენტის წევრის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების სპეციალური წესები უზრუნველყოფენ პარლამენტის წევრების დაცვას პოლიტიკური ოპონენტების, აღმასრულებელი ხელისუფლების და საზოგადოების სხვა წევრების სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი დევნისგან[29]. ამასთან, საპარლამენტო იმუნიტეტით დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სუბიექტს წარმოადგენს პარლამენტარის გამოხატვის თავისუფლება. სიტყვის თავისუფლება წარმომადგენლობითი ორგანოს წევრისთვის კიდევ უფრო აღმატებული შინაარსისა და დაცვის მქონეა, ვიდრე ქვეყნის რიგითი მოქალაქისთვის[30].

მიუხედავად ამისა, 2019 წლის 26 ივნისს, პარლამენტმა საგანგებო სესიაზე, ოპოზიციური პარტიების ბოიკოტის ფონზე[31], 91 ხმით, არცერთის წინააღმდეგ, ნიკანორ მელიას სადეპუტატო იმუნიტეტი მოუხსნა, რათა პროკურატურას მისი დაპატიმრების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მისცემოდა[32].

➢ <u>თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების შეფასება</u>

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 27 ივნისს არ გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა და დეპუტატს პატიმრობის ნაცვლად აღკვეთის ღონისძიებად გირაო განუსაზღვრა. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების მიზნების უზრუნველყოფა შესაძლებელია ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - 30 000 ლარის ოდენობით გირაოს პირობებშიც[33]. ბრალდებულს გირაოს გადახდის ვადად განესაზღვრა 20 დღე. თბილისის საქალაქო სასამართლომ, აღკვეთის ღონისძიების გადაწყვეტისას, იხელმძღვანელა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და განჩინებაში არ იმსჯელა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების სპეციალურ საკითხთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო სხვა გარემოებებთან ერთად ითვალისწინებს ბრალდებულის საქმიანობას, რაც ამ შემთხვევაში სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია, შესაბამისად - არც უმსჯელია. ასეთ მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინებისას კი, შესაძლოა, ამას სასამართლო განჩინების შედეგზე ჰქონოდა ზეგავლენა და შესაბამისად, სასამართლოს ნიკანორ მელიასთვის უფლებები არ შეეზღუდა და აღკვეთის ღონისძიებაც არ გამოეყენებინა.

სასამართლოს განჩინებით, მელიას ასევე დაეკისრა დამატებითი ვალდებულებები, კერძოდ, მას აეკრძალა: საცხოვრებელი ადგილის (სახლის) დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე; საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას საჯარო განცხადებების გაკეთება; მოწმეებთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია; მასვე დაეკისრა საგამოძიებო ორგანოსთვის პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; საბოლოოდ, გაზრდილი გირაოს ოდენობის და დამატებითი ვალდებულებების დაკისრების პირობებში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სრულად იქნებოდა უზრუნველყოფილი აღკვეთის ღონისძიების მიზნები. სასამართლოს განმარტებით, გირაოს პირობებისა და დამატებითი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ

---

[28] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე: https://bit.ly/2Yau7dr. ბოლოს ნანახია: 01. 06.2020.

[29] იხ. European Commission For Democracy Through Law (VENICE COMMISSION), REPORT ON THE SCOPE AND LIFTING OF PARLIAMENTARY IMMUNITIES Adopted by the Venice Commission at its 98th plenary session (Venice, 21-22 March 2014), Strasbourg, 14 May 2014, Study No. 714 / 2013, § 82.

[30] იხ. იხ. ვენეციის კომისიის 2014 წლის 14 მაისის ანგარიში: https://bit.ly/2MHk9cQ.

[31] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/2XJieuU. 2019 წლის 26 ივნისი. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

[32] იხ. ინფორმაციას სრულად: https://bit.ly/2UqxCKC. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

[33] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/2UoGOyZ. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო შესაძლოა, შეცვლილიყო უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით[34].

- <u>თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების შეფასება</u>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 2 ივლისის განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება ძალაში დარჩა. ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ პროკურატურას ნიკა მელიას გადაადგილებაზე ელექტრონული მონიტორინგის წარმოება დაავალა, სპეციალური სამაჯურის დამაგრებით[35].

მიუხედავად დაწესებული ელექტრონული მონიტორინგისა, საქართველოს პროკურატურის საჯარო განცხადების თანახმად[36], 2019 წლის 10 სექტემბერს ნიკანორ მელიამ ტელეკომპანია „კავკასიაში" მისვლითა და გადაცემაში მონაწილეობით, დემონსტრაციულად დაარღვია თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით დაწესებული აკრძალვა. პროკურატურის განცხადებით, მელიას მიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემაში მონაწილეობა სასამართლოს მიერ დაწესებული აკრძალვის დარღვევაა. ბრალდებულს განემარტა, რომ მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში, მის მიმართ შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. პროკურატურამ, ასევე, განაცხადა, რომ ნიკანორ მელიას ეძლეოდა თანხმობა საქართველოს პარლამენტში გამოცხადებაზე, ხოლო მედიასთან კომუნიკაცია საცხოვრებელი სახლიდანაც სრულყოფილად იყო შესაძლებელი[37].

პროკურატურის ასეთი ხისტი პოზიცია ეწინააღმდეგება პარლამენტის მანდატით გათვალისწინებული საზოგადოებრივი საქმიანობის უფლებამოსილების სპეციფიკას. ასეთ პირს, შესაძლოა, მუდმივად სჭირდებოდეს საზოგადოების წევრებთან და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით შეუზღუდავად სარგებლობა, რაც სახლიდან გაუსვლელად, შეუძლებელია, ეფექტიანად შესრულდეს. ამიტომ სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების ფარგლებში, პროკურატურის მიერ დეპუტატისთვის სახლიდან გასვლაზე უარის თქმა უნდა ხდებოდეს მხოლოდ მკვეთრად გამოხატული და ძალიან მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებისთვის, რომელთა დაუცველობა, პირველ რიგში, არღვევს თავად ამომრჩევლის ინტერესებს. ამასთან, უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც ეს არის ერთადერთი და აუცილებელი გზა, სასამართლოს მიერ უფლების შეზღუდვა უნდა ხდებოდეს ზედმიწევნით განჭვრეტადი, გასაგები, მკაცრად რეგლამენტირებული პროცედურით, რომელიც ეფუძნება ინტერესების სამართლიან ბალანსს. ამგვარად, ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული წარმომადგენლისათვის მანდატის ჩამორთმევა ან სხვა ზემოაღნიშნული ფორმებით შეზღუდვა, არა მხოლოდ ზღუდავს ამ მანდატის მატარებელი პირის უფლებას, საჯარო სამსახურში დაიკავოს თანამდებობა, არამედ იმ ამომრჩევლის ნებას, რომელმაც ეს მანდატი ამ თანამდებობის პირს გადასცა[38].

ამასთან, ვენეციის კომისიის ანგარიშის თანახმად, პარლამენტის წევრის ხელშეუხებლობის იმუნიტეტის მიზანს, ძირითადად, პოლიტიკური უმცირესობის დაცვა წარმოადგენს და იგი არ აღიქმება, როგორც პარლამენტის ცალკეულ წევრთა პირადი პრივილეგია[39]. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაც არ პასუხობს კონსტიტუციის მოთხოვნებს. კერძოდ, კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეზღუდვის თანაზომიერების საკითხს.

[34] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადება ნიკანორ მელიას საქმეზე: https://bit.ly/3cHUTxN. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.
[35] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3dK2nBz. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.
[36] იხ. საქართველოს პროკურატურის განცხადება ნიკანორ მელიას საქმეზე, 2019 წლის 13 სექტემბერი: https://bit.ly/2AOvKEw. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.
[37] იხ. საქართველოს პროკურატურის განცხადება ნიკანორ მელიას საქმეზე, 2019 წლის 13 სექტემბერი: https://bit.ly/2AOvKEw. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.
[38] იხ. კონსტიტუციური სარჩელი: https://bit.ly/37E4Aw9.
[39] იხ. ვენეციის კომისიის 2014 წ. 14 მაისის ანგარიში: https://bit.ly/2MHk9cQ.

- **<u>სასამართლო მონიტორინგი</u>**

ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორი აკვირდება ნიკანორ მელიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის ყველა სასამართლო სხდომას. სასამართლო სხდომის მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე, 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე დაკითხული ბრალდების მხარის მოწმეების ჩვენებები ერთმნიშვნელოვნად ვერ ადასტურებენ ნიკანორ მელიას ბრალეულობას. ჯერჯერობით, სასამართლო პროცესებზე დაცულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი[40]. მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად დააყენონ შუამდგომლობები და გამოხატონ თავიანთი მოსაზრება მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებზე. *ბოლოს - 2020 წლის 18 მარტს ჩანიშნული სასამართლო სხდომა გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, საქართველოში გავრცელებული კორონავირუსისა და შესაბამისად, ეპიდსიტუაციის გამო. მომდევნო სხდომის თარიღი, ჯერ არ არის განსაზღვრული.*

- **<u>სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) თბილისის საქალაქო სასამართლოს ნიკანორ მელიას საქმეზე</u>**

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, პარლამენტის წევრისთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებით, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი და საპარლამენტო მანდატით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების შეზღუდვას[41]. ამიტომ 2019 წლის 28 ნოემბერს, სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს[42].

სახალხო დამცველი, საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგ, საქართველოში მეორე დამოუკიდებელი კონსტიტუციური ორგანოა, რომელიც ფლობს უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში ეროვნულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველი საქართველოში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ აირჩევა, ის საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელია და ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის მექანიზმის ფარგლებში, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე სასარჩელო უფლებამოსილებითაც სარგებლობს[43]. სამართლებრივ ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტის ეროვნულ სამართლებრივ სივრცეში დანერგვის მიზანია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა[44]. ომბუდსმენთა უმრავლესობის კონტროლის სფეროა, ასევე, იუსტიციის ადმინისტრაცია (Administration of justice). იუსტიციის ადმინისტრაციაში მოიაზრება, უმთავრესად, სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრაციული სტრუქტურა, დისციპლინური ღონისძიებები მიმართული მოსამართლეებისადმი და სხვა. ომბუდსმენის „სანქციები", ამ შემთხვევაში, გამოიხატება რეკომენდაციების გაცემით მოსამართლეებისადმი, შესაბამის პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით ან დისციპლინური ღონისძიებების დაკისრებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის, სამართალდამრღვევისადმი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე და ა.შ[45].

[40] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი: https://bit.ly/3dN6U6r.
[41] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება სასამართლოს მეგობრის მოსაზრების შესახებ ნიკანორ მელიას საქმეზე: https://bit.ly/37azv34.
[42] იხ. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ნიკანორ მელიას საქმეზე: https://bit.ly/30i8Vnj.
[43] იხ. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ი" ქვეპუნქტი: https://bit.ly/3eXuUnq.
[44] იხ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე; საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი; გვ.576. https://bit.ly/2UpJigF.
[45] ob. Kucsko-Stadlmayer, Gabriele (Hrsg.), Europäische Ombudsmann-Institutionen. Eine rechtsvergleichende Untersuchung zur vielfältigen Umsetzung einer Idee, Wien, 2008, S. 29, 54-61.

რაც შეეხება უშუალოდ ნიკანორ მელიას საქმეზე მომზადებულ სასამართლო მეგობრის მოსაზრებას, სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ისეთი საპარლამენტო საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობა, როგორიცაა - საჯარო განცხადებების უფლება, ასევე სატელევიზიო ეთერში მისვლის გამო პროკურატურის გაფრთხილება. ამასთან, გაუგებარია, თუ რატომ არ უნდა შეძლებოდა პარლამენტის წევრს ამის გაკეთება არა საკუთარი სახლიდან, არამედ ტელეკომპანიის შენობიდან. საპარლამენტო საქმიანობის შემადგენელი ისეთი ელემენტარული უფლებამოსილებაც კი, როგორიცაა პარლამენტის ადმინისტრაციულ შენობაში მისვლა, ნიკანორ მელიას მხოლოდ გენერალური პროკურატურის კეთილი ნების საფუძველზე შეეძლო.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სიტყვის თავისუფლების არსებითი შეზღუდვა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული და არ უნდა ზღუდავდეს თავისუფალ პოლიტიკურ დებატებს პარლამენტში. დამატებით, იგი ყურადღებას ამახვილებს ვენეციის კომისიის ანგარიშზე, რომლის თანახმად, ხალხის არჩეული წარმომადგენლებისთვის აზრისა და სიტყვის თავისუფლება უმნიშვნელოვანესია ნამდვილი დემოკრატიისთვის და სიტყვის თავისუფლების არსებითი შეზღუდვები პარლამენტარებისთვის უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდეს პარლამენტში თავისუფალ პოლიტიკურ დებატებს[46]. სახალხო დამცველის შეფასებით, ნიკანორ მელიას მიმართ გამოყენებული ღონისძიებები, განსაკუთრებით კი: მოწმეებთან კომუნიკაციის აკრძალვა, სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის აკრძალვა, ელექტრონული მონიტორინგი, არათანაზომიერად ზღუდავდა მის მიერ საპარლამენტო საქმიანობის შესაძლებლობას. სასამართლო მეგობრის მოსაზრების თანახმად, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის ვალდებულება არ უნდა გავრცელებულიყო პარლამენტის ადმინისტრაციულ შენობაზე, რათა დაკმაყოფილებულიყო კონსტიტუციის მოთხოვნა და პარლამენტარს მისცემოდა საკუთარი ძირითადი საქმიანობის შესრულების შესაძლებლობა. ასევე, მსგავსი შეზღუდვა გაუმართლებელია სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისითაც. კერძოდ, თუკი ნიკანორ მელიას ეკრძალებოდა საჯარო განცხადებები, რათა მას ახალი დანაშაული არ ჩაედინა, მაშინ მას არც მედიასთან კომუნიკაცია და ინტერვიუებში მონაწილეობა უნდა შეძლებოდა, ხოლო თუ მედიასთან კომუნიკაცია დასაშვები იყო, მაშინ გაუგებარია, თუ რატომ არ უნდა შეძლებოდა პარლამენტის წევრს ამის გაკეთება არა საკუთარი სახლიდან, არამედ ტელეკომპანიის შენობიდან, თუკი მასზე დაწესებული იყო ელექტრონული მონიტორინგი, რითაც აღმოფხვრილი იყო მისი მიმალვის საფრთხე და ა.შ.

სახალხო დამცველი მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებაზეც: „მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ამომრჩეველთა მიერ დელეგირებული ხელისუფლების უსაფუძვლო, თვითნებური შეზღუდვისგან დაცვა, რის გამოც განსაკუთრებული ლეგიტიმაციით სარგებლობენ დემოკრატიული წესით ხალხის მიერ არიან პირები[47]. თანამდებობის ლეგიტიმაციის წყაროს, კონსტიტუციური სტატუსის, კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის მოცულობის მიხედვით, მათი დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის გარანტიები განსხვავებულია და შესაბამისად, განსხვავებული უნდა იყოს უფლებაში ჩარევის წინაპირობები და პროცედურა“[48].

სახალხო დამცველის არაერთი დასაბუთებული და კრიტიკულად მნიშვნელოვანი შეფასების მიუხედავად, თბილისის საქალაქო სასამართლოს, ნიკანორ მელიას საქმეზე, სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება არ გაუთვალისწინებია.

[46] იხ. ვენეციის კომისიის 2014 წლის 14 მაისის ანგარიში: https://bit.ly/2MHk9cQ.
[47] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-27. https://bit.ly/2YhXQzS.
[48] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-23. https://bit.ly/2YhXQzS.

თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნიკანორ მელიას მიმართ გამოტანილი განჩინებებით, პარლამენტის წევრისთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებით, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, მისი უფლებამოსილების განხორციელების არაპროპორციულ შეზღუდვას.

ნიკანორ მელიას პარლამენტის წევრის უფლებები ასე არათანაზომიერად არ შეიზღუდებოდა, საქმის განხილვისას, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს ერთიან კონტექსტში რომ განეხილა საქართველოს კონსტიტუციით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითა და პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები, ამასთან, მხედველობაში მიეღო პარლამენტის წევრის იმუნიტეტისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები.

- <u>ნიკანორ მელიასთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა</u>

თბილისის საქალაქო სასამართლოს ე.წ. ბანკი „ქართუს“ საქმეზე[49] 2019 წ. 2 დეკემბრის განაჩენით, საქართველოს პარლამენტის წევრი ნიკანორ მელია დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით[50]. სასჯელის სახედ და ზომად მას განესაზღვრა ჯარიმა 25 000 ლარის ოდენობით. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე[51], ნიკანორ მელიას დამატებითი სასჯელის სახით 3 წლის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე[52], ნიკანორ მელიას დანიშნული დამატებითი სასჯელი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა შეუმცირდა ერთი მეოთხედით. საბოლოოდ, მას სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 25 000 ლარის ოდენობით და 2 წლისა და 3 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

2019 წლის 9 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს[53]. პარლამენტის 2019 წლის 12 დეკემბრის N5544 დადგენილებით, საქართველოს კონსტიტუციასა[54] და პარლამენტის რეგლამენტზე[55] დაყრდნობით, ნიკანორ მელიას ვადამდე შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება[56]. 2019 წლის 23 დეკემბერს, გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში[57]. სარჩელით მოთხოვნილ იქნა პარლამენტის იმ დადგენილების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლითაც მას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა[58].

2020 წლის 10 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნიკანორ მელიას საკონსტიტუციო სარჩელზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა. სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიმოიხილავს, როდის უნდა იყოს გამამტყუნებელი განაჩენი საპარლამენტო უფლებამოსილების ჩამორთმევის საფუძველი. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, „ძალაში შესული

[49] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3cKB34V.
[50] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი: https://bit.ly/2Uyh9UK.
[51] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილი: https://bit.ly/2Uyh9UK.
[52] იხ. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი: https://bit.ly/2Yom23w.
[53] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/2UwXJiO. ბოლოს ნანახია: 09.06.2020.
[54] იხ. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი: https://bit.ly/2AlDfmn.
[55] იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-2 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი: https://bit.ly/3hhZ0V0 .
[56] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/2UwXJiO. ბოლოს ნანახია: 09.06.2020.
[57] იხ. ინფორმაცია სრულა: https://bit.ly/2zpHmNW. ბოლოს ნანახია: 09.06.2020.
[58] იხ. საქმე ,,ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2020 წლის 27 იანვარი: https://bit.ly/3dRdWar.

განაჩენის“ ცნებას ავტონომიური შინაარსი აქვს, ხოლო არჩეული პარლამენტარის უფლებამოსილების შეწყვეტისას თანაზომიერების პრინციპის დაცვა აუცილებელია[59]. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სწორედ პროპორციულობის საკითხის გარკვევას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, **პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, თუკი პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებით დეპუტატს სასჯელის სახედ საპატიმრო სასჯელი დაენიშნა. იმ შემთხვევებში, როცა სასჯელის სახედ არასაპატიმრო სასჯელი ინიშნება, პარლამენტის წევრის უფლებამოსილება მხოლოდ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის, ან გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ უნდა შეწყდეს.** საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის 1-ლ პუნქტთან[60] (საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება) და კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან[61] (დეპუტატისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის შემთხვევაში) მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს ნაწილში, ვინაიდან ნიკანორ მელიას უფლებამოსილება შეუწყვიტა არა სასამართლომ, არამედ საქართველოს პარლამენტმა[62].

როდის ითვლება განაჩენი კანონიერ ძალაში შესულად - როცა არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი თუ მაშინ, როცა საქმეზე უზენაესმა სასამართლომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება? ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია იშვიათ და მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემად. ამიტომ საქმეს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი, რომელიც შედგება სასამართლოს ყველა მოქმედი მოსამართლისაგან.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტში (საპროცესო უფლებები) ჩაწერილი სიტყვები - „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“, - უნდა განიმარტოს როგორც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო ინსტანციის - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოცხადებული განაჩენი.

III. გიორგი რურუას საქმე - ,,მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილე

➢ ბრალდების არსი

ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილე გიორგი რურუა 2019 წლის 18 ნოემბერს დააკავეს. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, რურუას ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით[63] გათვალისწინებული ქმედებების ჩადენა, რაც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვასა და ტარებას გულისხმობს. დადგენილების თანახმად, საქმეში არსებული ბრალდების მხარის ინფორმაციის ერთობლიობა ფაქტებთან დაკავშირებით, მიუთითებს, რომ ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, გიორგი რურუა, 2019 წლის 18 ნოემბერს, მის საკუთრებაში არსებული ავტომობილით გადაადგილდებოდა თბილისში, წყნეთის მიმართულებით, რომელსაც თან უნდა ჰქონოდა უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი. პირადი ჩხრეკისა და უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების მიზნით, გადაუდებელი

[59] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნიკანორ მელიას საქმეზე: 2020 წლის 11 თებერვალი: https://bit.ly/30rVfWN.
[60] იხ. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი: https://bit.ly/2AlDfmn.
[61] იხ. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი: https://bit.ly/2AlDfmn.
[62] იხ. საქმე ,,ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2020 წლის 27 იანვარი: https://bit.ly/3dRdWar.
[63] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები.

აუცილებლობის შესახებ დადგენილების შესაბამისად, გიორგი რურუა საპატრულო პოლიციამ შეაჩერა ვაკის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

2019 წლის 25 დეკემბერს ბრალდებულ გიორგი რურუას კიდევ ერთი ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, რაც სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისა და მისი შესრულებისათვის ხელის შეშლის გულისხმობს. საქმე ეხება გიორგი რურუას უარს, სასამართლოს განჩინების მიხედვით, დნმ-ისა და ხელის კვლების ნიმუშის აღებასთან დაკავშირებით.

➢ <u>საგარაუდო პოლიტიკური მოტივი</u>

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წ. 26 ივნისის რეზოლუციით დადგენილი კრიტერიუმებით[64], „თავისუფლებააღკვეთილი პირი „პოლიტიკური პატიმრის“ გაგებას ექვემდებარება, თუ თავისუფლების აღკვეთა მოხდა პროცესუალური გარანტიების აშკარა დარღვევებით და არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ ეს დაკავშირებულია ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებთან“[65]. ეს კრიტერიუმი „საერთაშორისო ამნისტიის“ კრიტერიუმებს ემთხვევა. კერძოდ: საქმე შეიცავს „შესამჩნევ პოლიტიკურ ელემენტს“; „საქმეზე მთავრობა არ უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამართლიან სასამართლოს“.

გიორგი რურუას დაკავებას და მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს, ირაკლი ოქრუაშვილისა და გიორგი უგულავას საქმეებთან ერთად, მალევე მოჰყვა პოლიტიკური შეფასებები[66] როგორც სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის, ისე საერთაშორისო პარტნიორების, განსაკუთრებით კი - აშშ-ის სენატორებისა და კონგრესმენების მხრიდან. გიორგი რურუას დაკავება დიდწილად პოლიტიკურ გადაწყვეტილებად არის შეფასებული, ხოლო მისი პატიმრობა 2020 წ. 8 მარტის ერთობლივი განცხადების[67] დარღვევად არის მიჩნეული.

➢ <u>სასამართლო მონიტორინგი</u>

ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება გიორგი რურუას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესს. საქმის არსებითი განხილვა 2020 წლის 10 თებერვალს დაიწყო. მონიტორინგისას იდენტიფიცირებულია რამდენიმე დარღვევა[68], რაც უკავშირდება: *1) ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლებას; 2) ბრალდებულის უფლება-მოვალეობების განმარტების საკითხს; 3) ნიმუშის აღებაზე უარის თქმას და ამის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის მოტივით (სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილი); 4) ნიმუშის აღებისას ჩარევის პროპორციულობის საკითხს და ა.შ.*

ადამიანის უფლებათა ცენტრი ცალკე გამოაქვეყნებს გიორგი რურუას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე ანალიტიკურ დოკუმენტს, სადაც დეტალურად შეფასდება ზემოაღნიშნული და სხვა პრობლემური სამართლებრივი საკითხები.

---

[64] იხ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 26 ივნისის რეზოლუციით გათვალისწინებული კრიტერიუმები პოლიტიკური პატიმრის შესახებ: https://bit.ly/2N8X43.

[65] იხ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 26 ივნისის რეზოლუციით გათვალისწინებული კრიტერიუმები პოლიტიკური პატიმრის შესახებ: https://bit.ly/2N8X43.

[66] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/37seotf; ასევე, იხ. https://bit.ly/3hrbiKF.

[67] ერთობლივი განცხადება: https://bit.ly/3fzfW7N. ბოლოს ნანახია: 05.06.2020.

[68] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ გიორგი რურუას საქმის სასამართლო განხილვის მონიტორინგის ანგარიში.

IV. გიორგი ჯავახიშვილისა და თორნიკე დათაშვილის საქმე

➢ ბრალდების არსი

ბრალდების დადგენილებით, 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების დროს, საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციულ შენობაში შეჭრის მიზნით განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებში, სხვა პირებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ გიორგი ჯავახიშვილი და თორნიკე დათაშვილი. კერძოდ, ჯავახიშვილი სამართალდამცავი მუშაკებისგან წართმეულ პასიურ სპეციალურ საშუალებას - ფარს ურტყამდა პოლიციელებს და აქტიური ქმედებით მონაწილეობდა სხვა ჯგუფურ ძალადობრივ მოქმედებებში. რაც შეეხება თორნიკე დათაშვილს, იგი სამართალდამცავ მუშაკებს უწევდა წინააღმდეგობას, ძალის გამოყენებით პოლიციის მუშაკი გამოიყვანა პოლიციის კორდონიდან და თავისი აქტიური ქმედებით მონაწილეობდა სხვა ჯგუფურ ძალადობრივ ქმედებებში. ორივე მათგანს ბრალად წარედგინა სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობა)[69].

➢ სასამართლო მონიტორინგი

სასამართლოში ბრალდებულთა პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე 2019 წლის 27 ივლისის განჩინების თანახმად, გიორგი ჯავახიშვილისა და თორნიკე დათაშვილის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით, გამოყენებული იქნა პატიმრობა. ბრალდების მხარე შუამდგომლობაში მიუთითებდა ბრალდებულების მიმალვის, მართლმსაჯულების განხორციელებისა და მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელშეშლის, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეებზე, რაც სასამართლომ გაიზიარა. ბრალდებულთა ადვოკატებმა განჩინება გაასაჩივრეს თბილისის სააპელაციოს სასამართლოში, მაგრამ საჩივრები დაუშვებლად იქნა ცნობილი. ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება იყო დასაბუთებული და კანონიერი[70]. 2019 წლის 18 ოქტომბერს, სხდომაზე ბრალდებულებმა ჩადენილი დანაშაული აღიარეს[71]. სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის ორივე ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ. კერძოდ, ისინი ითხოვდნენ პატიმრობის გირაოთი შეცვლას. ადვოკატებმა მოსამართლეს მოახსენეს ბრალდებულთა ოჯახური/ ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და იშუამდგომლეს მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის, 2000-ლარიანი გირაოთი შეცვლის შესახებ, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა და ბრალდებულები სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა[72]. ამის შემდეგ, 2020 წლის 4 მარტს, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება[73]. ადვოკატების განცხადებით, ბრალდებულებმა ცნეს ბრალი და პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება უდავოდ გახადეს[74].

[69] იხ. სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი: https://bit.ly/2AVtE5x.
[70] იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2019 წლის 31 ივლისის განჩინება N1გ/1272.
[71] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში. არსებითი განხილვა: **18.10.2019, 11:00- 11:16 საათი;**
[72] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/2Afy3QY. ბოლოს ნანახია: 02.06.2020.
[73] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში. არსებითი განხილვა: **04.03.2020; 16:25-16:40 საათი.**
[74] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში. არსებითი განხილვა: **04.03.2020; 16:25-16:40 საათი.**

V. თამლიანის, ბუდაღაშვილის, კუპრეიშვილისა და სოსელიას საქმე

➢ ბრალდების არსი

2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, შსს ინტენსიურად აწარმოებდა გამოძიებას[75]. გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 2019 წლის 4 ივლისს დააკავეს 4 პირი: ზურაბ ბუდაღაშვილი, კახაბერ კუპრეიშვილი, ცოტნე სოსელია და ბესიკ თამლიანი. 2019 წლის 5 ივლისს, საქართველოს პროკურატურამ, ოფიციალურად, მათ ბრალად წარუდგინა საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) გათვალისწინებული დანაშაული, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა. ბრალდება ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

ბრალდების დადგენილებით, პარლამენტთან განვითარებული მოვლენებისას, ბრალდებულები მონაწილეობდნენ ჯგუფურ ძალადობაში, რა დროსაც სხვადასხვა საგნებით თავს ესხმოდნენ პოლიციელებს და უწევდნენ წინააღმდეგობას. კერძოდ: ზურაბ ბუდაღაშვილი, ხელკეტით არაერთხელ დაესხა თავს სამართალდამცველებს, რომლებსაც ძალისმიერად უპირისპირდებოდა. კახაბერ კუპრეიშვილი პოლიციისკენ ისროდა სხვადასხვა საგნებს, აგრესიულად ესხმოდა თავს და ძალისმიერად უპირისპირდებოდა სამართალდამცველებს. ცოტნე სოსელია ხელკეტის გამოყენებით თავს დაესხა სამართალდამცველს და ფიზიკურად გაუსწორდა. ბესიკ თამლიანიც, ასევე, თავს დაესხა პოლიციის არაერთ თანამშრომელს[76].

2019 წლის 20 ივნისს ბესიკ თამლიანი ადმინისტრაციული წესით დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას 13-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა, მაგრამ ხმაურიანი მიტინგების ფონზე, იგი პატიმრობის მე-5 დღეს გაანთავისუფლეს[77]. ბესიკ თამლიანი აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს და ბრალდებას საფუძვლად უდევს მის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები, რომელსაც დამატებითი მტკიცებულების სახით, ფორმალურად, მხოლოდ ერთი ვიდეოჩანაწერი დაერთო პროკურატურის მიერ[78]. ბესიკ თამლიანს მიაჩნია, რომ მის მიმართ სამართალწარმოება არასამართლიანია, რადგან მას ზუსტად იგივე ქმედებისათვის ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა, რაც უკვე მოიხადა. საქართველოს კონსტიტუციით კი, მოქალაქეს ერთი და იგივე ქმედებისთვის ორჯერ სასჯელი არ შეიძლება დაეკისროს[79].

➢ სასამართლო მონიტორინგი

2019 წლის 6 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ოთხივე ბრალდებულს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა.

2019 წლის 8 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარის წარმომადგენლებმა შესავალი სიტყვა წარმოთქვეს[80]. 2019 წლის 13 ნოემბერს მოწმეთა გამოკითხვა დაიწყო. დაიკითხა ბრალდების მხარის სამი ექსპერტი, რომლებმაც 20-21 ივნისის საქმეზე ვიდეოჩანაწერების

---

[75] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3dP8Qvm.

[76] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში. 29.02.2020. დამატებით, იხ. https://bit.ly/30r6gaZ. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

[77] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ ბესიკ თამლიანის სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში. 29.02.2020. დამატებით, იხ. https://bit.ly/3hjmNUa.

[78] იხ. ინფორმაციას სრულად: https://bit.ly/3hjmNUa.

[79] იხ. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტი: https://bit.ly/3fxF4f4.

[80] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის მიერ, 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ მომზადებული ანგარიში. 29.02.2020.

ექსპერტიზა ჩაატარეს. ამ სხდომას არ ესწრებოდა ბესიკ თამლიანი[81]. ვიდეოჩანაწერის ექსპერტიზით დადგინდა ერთადერთი რამ, რომ კონკრეტული პირები, მათ შორის - ბრალდებულები, იმყოფებოდნენ 20-21 ივნისის აქციაზე. სხვა ექსპერტებს არაფერი დაუდგენიათ. ბრალდებულთა მოქმედება, რაც ბრალის წარდგენის საფუძველი გახდა, შესწავლილი და გამოკვლეული არ ყოფილა[82]. *2019 წლის 27 ნოემბერს გამართული სასამართლო სხდომა ხმაურიანი იყო - ზურაბ ბუდაღაშვილმა განაცხადა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მას აიძულებდნენ ოპოზიციური პოლიტიკური ლიდერების - ნიკანორ მელიას, გიორგი უგულავასა და ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას. მას დაემუქრნენ ახლობლების დაკავებით. ამ განცხადებიდან რამდენიმე დღეში დააკავეს ზურაბ ბუდაღაშვილის ძმა. გავრცელებული ინფორმაციით, იგი შსს-მ ნარკოდანაშაულის გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების განადგურების ბრალდებით დააკავა. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას 2000-ლარიანი გირაო შეუფარდა[83].*

ბრალდებულ ზურაბ ბუდაღაშვილის დედამ განაცხადა, რომ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები მათზე თვალთვალს მუდმივად ახორციელებდნენ. უფლებადამცველები და ზურაბ ბუდაღაშვილის დედა მოითხოვდნენ, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულიყო გამოძიება[84]. *2019 წლის 4 დეკემბერს, სასამართლო სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება[85].*

ზურაბ ბუდაღაშვილი, სხდომაზე გავრცელებული განცხადების შემდგომ, გადაიყვანეს სამარტოო საკანში, რომელიც ემიჯნებოდა ოთახს, სადაც მუდმივად მუშაობდა გენერატორის მსგავსი მოწყობილობა და 24 საათის განმავლობაში ბრალდებულს ესმოდა შემაწუხებელი ხმა. *ადვოკატმა განაცხადა, რომ ეს დასჯის მიზნით მოხდა და ეს ქმედება შეიძლება, წამებასაც კი გაუტოლდეს.* სასჯელაღსრულების დეპარტამენტში კი ამტკიცებდნენ, რომ ბუდაღაშვილი, თანამოსაკნეების მოთხოვნის საფუძველზე გადაიყვანეს.

2020 წლის 10 იანვარს 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე ბრალდებულებმა ცოტნე სოსელიამ და კახაბერ კუპრეიშვილმა შიმშილობა დაიწყეს[86]. 13 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომას, სადაც ბრალდების მხარის მოწმეები დაიკითხნენ, ბრალდებულები პროტესტის ნიშნად არ დაესწრნენ[87]. ამ სხდომაზე ბრალდებულთა ადვოკატმა განაცხადა, რომ ცოტნე სოსელია და კახაბერ კუპრეიშვილი პროკურატურისგან საპროცესო შეთანხმებას ითხოვდნენ. 17 იანვარსა და 20 იანვარს სასამართლო სხდომებს არც ერთი ბრალდებული არ დაესწრო. კუპრეიშვილი და სოსელია განაგრძობდნენ შიმშილობას. დაკავებულები მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებულ პატიმრობას აპროტესტებდნენ[88]. 22 იანვარს სასამართლო სხდომაზე დაიკითხა ბრალდების მხარის ორი მოწმე, ვიდეომტკიცებულებების თანხლებით. მათ ბრალდებულთათვის ბრალად წარდგენილი ქმედება ვერ დაადასტურეს[89]. 23 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომას, სადაც ბრალდების მხარის ორი მოწმე იკითხებოდა, მხოლოდ კახაბერ კუპრეიშვილი და ბესიკ თამლიანი ესწრებოდნენ. დანარჩენი ბრალდებულები პროტესტის ნიშნად არ გამოცხადებულან. 10 თებერვალსა და 14 თებერვალს სასამართლო სხდომაზე დაიკითხნენ ბრალდების მხარის მოწმეები. ამ სხდომაზე, მოსამართლის ინიციატივით, ორთვიანი ვადის გასვლიდან გამომდინარე, იმსჯელეს აღკვეთის ღონისძიების სახის პატიმრობის

[81] იქვე. დამატებით, იხ. https://bit.ly/3cSBEl4/ ბოლოს ნანახია:04:06.2020.
[82] იქვე. დამატებით, იხ. https://bit.ly/2AUyUXe.
[83] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3e51QKO. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.
[84] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3cV9Psl. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.
[85] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებულ პირთა შესახებ. 29.02.2020. ასევე, იხ.: https://bit.ly/3cV9Psl. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.
[86] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ. 29.02.2020.
[87] იქვე.
[88] იქვე.
[89] იქვე.

შეცვლაზე. თუმცა, აღკვეთის ღონისძიების სახე არ შეცვლილა და ბრალდებულთა მიმართ კვლავ პატიმრობა იქნა გამოყენებული[90].

2020 წლის 25 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე ბრალდებულების - კახაბერ კუპრეიშვილისა და ცოტნე სოსელიას ადვოკატებმა დააყენეს შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების თაობაზე. ***27 თებერვალს სასამართლო სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ ზურაბ ბუდაღაშვილის, კახა კუპრეიშვილისა და ცოტნე სოსელიას საქმე ცალკე წარმოებად წარიმართებოდა. მათ, ბრალი აღიარეს და მიმდინარეობდა მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით[91]. 6 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე, პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობასა და საპროცესო შეთანხმების დადებაზე.*** მოსამართლემ ეს შუამდგომლობა განიხილა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის შესაბამისად[92]. ***მას შემდეგ, რაც მის მიერ დასმულ შეკითხვებზე ბრალდებულთაგან მიიღო „დამაჯერებელი“ პასუხები, სასამართლომ მხარეებს შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა.***

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საპროცესო შეთანხმების დადების პირობები, ამ ბრალდებულთა შემთხვევაშიც დაუსაბუთებელია[93]. სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია და არ გამოუკვლევია[94] ახალი გარემოებები და ზურაბ ბუდაღაშვილის განცხადებები მის მიმართ მუქარის საკითხზე, რითაც დაირღვა სსსკ-ის 215-ე მუხლი. დადებული საპროცესო შეთანხმების მიხედვით, კახაბერ კუპრეიშვილი, ცოტნე სოსელია და ზურაბ ბუდაღაშვილი ცნობილი იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მეორე ნაწილით და ძირითად სასჯელად განესაზღვრათ 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალათ პირობით, იგივე გამოსაცდელი ვადით. მათვე, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრათ ჯარიმა თითოეულს 2000 ლარის ოდენობით[95]. ბრალდებულთა განცხადებით, ბრალი აღიარეს იმის გამო, რომ მათი საქმე პოლიტიკური ელფერის იყო და, შესაბამისად, „ციხეში ჯდომას აზრი არ ჰქონდა“[96]. ***ამ ბრალდებულთაგან განსხვავებით, ბესიკ თამლიანი ბრალს არ აღიარებს და საპროცესო შეთანხმების დადებაზე დათანხმებას არ აპირებს.***

2020 წლის 6 მარტს ბესიკ თამლიანის საქმეზე კიდევ ერთი სხდომა გაიმართა. დაიკითხა ბრალდების მხარის ორი მოწმე - შსს-ს თანამშრომლები. ისინი საუბრობდნენ მათთვის ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებზე. თუმცა, ვერც ერთი ვერ ადასტურებდა ბესიკ თამლიანის ადგილზე ყოფნას. ასევე, ვერ იხსენებდნენ, ბრალდებული შეამჩნიეს თუ არა უშუალოდ დანაშაულის ადგილზე. 13 მარტს ბესიკ თამლიანის საქმეზე გაგრძელდა შსს-ს პრესსამსახურიდან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერის გამოკვლევა. ასევე, გამოკვლეულ იქნა ნივთიერი მტკიცებულებები. დათვალიერების შედეგად ამოღებული თითქმის ყველა საგანი და მათი შემხებლობა უშუალოდ ბრალდებულ ბესიკ თამლიანთან არ მტკიცდებოდა. პროცესის დასასრულს, დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ბესიკ თამლიანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახის - პატიმრობის 1000-ლარიანი გირაოთი შეცვლის თაობაზე. მოსამართლემ განჩინებით უარი თქვა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან ჩათვალა, რომ არსებითად ახალი გარემოებები შუამდგომლობით (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლი[97]) არ ყოფილა წარმოდგენილი.

---

[90] იქვე.
[91] იქვე.
[92] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლი: https://bit.ly/2Yn4dBZ. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.
[93] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლი: https://bit.ly/2Yn4dBZ.
[94] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლი: https://bit.ly/2Yn4dBZ.
[95] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ. საპროცესო შეთანხმების დადება: 06.03.2020.
[96] იქვე.
[97] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლი:

2020 წლის 23 მარტს ბესიკ თამლიანი პატიმრობიდან გათავისუფლდა.თუმცა, დაცვის მხარეს არ მიუთითებია ახალ გარემოებებზე, მაშინ როდესაც, სწორედ ამ მიზეზით, 13 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების სახის შეცვლის თაობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბესიკ თამლიანს 9-თვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა 4 აპრილს ეწურებოდა[98] და, შესაძლებელია, სწორედ ეს გახდა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველიც. შესაბამისად, ბრალდებულ ბესიკ თამლიანის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე - პატიმრობა შეიცვალა 4 000 (ოთხი ათასი) ლარის გირაოთი[99]. ასევე, ბრალდებულს დაუწესდა შეზღუდვები, კერძოდ -უფლება არ აქვს, დატოვოს საქართველო და პასპორტი უნდა ჩააბაროს საგამოძიებო ორგანოს.

დაცვის მხარის ვარაუდით, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში ბესიკ თამლიანის ბრალეულობა ვერ მტკიცდება, სასამართლომ, მაღალი ალბათობით, შესაძლოა, მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჯგუფურ მოქმედებებში მონაწილეობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა სხვა პირთა მიმართ გამოტანილი განაჩენისა და საპროცესო შეთანხმებების ლეგიტიმურობის საკითხი დადგება ეჭვქვეშ და ეს მეტად მკვეთრ შთაბეჭდილებას დატოვებას საზოგადოებაში 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების მიმართ, სავარაუდო პოლიტიკური მოტივების არსებობის შესახებ. ასევე, შესაძლოა, სასამართლომ სხვა - ნაკლებად მძიმე დანაშაულის მუხლით გადააკვალიფიციროს ბრალდებულის ქმედება და მის საფუძველზე გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი.

- <u>ზურაბ ბუდაღაშვილის სამარტოო საკანში გადაყვანის ფაქტის შეფასება</u>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, სხვა პატიმრებთან ურთიერთობებისგან ჩამოშორება უსაფრთხოების, დისციპლინარული ან მფარველობითი მიზნებით, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა, წარმოადგენდეს არაადამიანურ მოპყრობას ან დამამცირებელ სასჯელს. კონკრეტული გარემოებების შეფასებისას კი ყურადღება ექცევა ზომის სიმკაცრეს, მისი ხანგრძლივობას, დასახულ მიზანსა და მის გავლენას მსჯავრდებულზე[100]. ციხის საერთო პოპულაციისგან პატიმრის ნებისმიერი სახის არანებაყოფლობითი განცალკევება, მათ შორის, სამარტოო საკანში მოთავსება, იზოლაცია, სეგრეგაცია და სხვა, იქნება ეს დისციპლინური სასჯელი თუ უსაფრთხოების ზომა, უნდა რეგულირდებოდეს კანონმდებლობით[101]. იზოლაცია უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში, როგორც უკიდურესი ღონისძიება და შეძლებისდაგვარად მოკლე დროით, მხოლოდ უფლებამოსილი პირის მითითებით. იგი უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გადასინჯვას. იზოლაცია არ უნდა იყოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის ნაწილი[102]. არასათანადო მოპყრობად განიხილება და შესაბამისად, აკრძალულია განუსაზღვრელი ან გახანგრძლივებული ვადით იზოლაცია[103]. ევროპული ციხის წესების მიხედვით, სასჯელის სახით სამარტოო საკანში განთავსება შეიძლება შეფარდებული იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და დროის განსაზღვრული, შეძლებისდაგვარად ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში[104]. გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ (სასამართლომ),

[98] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში ბესიკ თამლიანის საქმის მონიტორინგის შესახებ. 23.04.2020.
[99] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/2XVsEYx.
[100] იხ. ვან დერ ვენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Van der Ven v. the Netherlands), განაცხადი no. 50901/99, ადამანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 51, ხელმისაწვდომია: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-60915.
[101] იხ. ,,ნელსონ მანდელას წესები", წესი 45, პ.1; https://bit.ly/2YmcwOC. სასამართლოს განაჩენით იზოლაციის განსაზღვრას არასასურველად მიიჩნევს წამების პრევენციის კომიტეტიც: იხ. CPT-ის 21-ე ზოგადი ანგარიში, პუნქტი 56(a).
[102] იხ. ,,ნელსონ მანდელას წესები", წესი 37. https://bit.ly/2YmcwOC
[103] იხ. ,,ნელსონ მანდელას წესები", წესი 45, პუნქტი 2. https://bit.ly/2YmcwOC.
[104] იხ. ,,ევროპული ციხის წესები", წესი 60.5.

პირველ რიგში, უნდა დაადგინოს, სპეციალური რეჟიმი გათვალისწინებულია თუ არა კანონით (კანონიერების პრინციპი) და ემსახურება თუ არა იგი ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ კი საზოგადოების უსაფრთხოებას, არეულობისა და დანაშაულის პრევენციას; უნდა შეაფასოს ღონისძიების დასახულ მიზანთან თანაბარზომიერების კრიტერიუმი (აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში)[105]. ***ზურაბ ბუდაღაშვილის საქმეში, გაუგებარი და დაუსაბუთებელია, არ არსებობს არც ერთი ფაქტობრივი გარემოება და არგუმენტი, რატომ იყო ასეთი მკაცრი სასჯელი მის მიმართ გამოყენებული. შეიძლება ითქვას, რომ ბუდაღაშვილის სამარტოო საკანში გადაყვანა უტოლდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებას, რომლის თანახმად, ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია[106].***

VI. მორის მაჩალიკაშვილისა და ბეჟან ლორთქიფანიძის საქმე

➢ ბრალდების არსი

მორის მაჩალიკაშვილი, 2017 წლის 26 დეკემბერს პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი თემირლან მაჩალიკაშვილის ბიძაშვილია. ის ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბიძასთან, მალხაზ მაჩალიკაშვილთან ერთად, ითხოვდა თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე სამართლებრივი შედეგის დადგომას და დამნაშავე პირთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

მორის მაჩალიკაშვილი 2019 წ. 26 ივლისს, სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დააკავეს[107] სახეობათა კონსერვაციის ცენტრ „ნაკრესის“ კონსერვაციის პროგრამის ხელმძღვანელთან, National Geographic-ის მკვლევართან, ზოოლოგ ბეჟან ლორთქიფანიძესთან ერთად.

მორის მაჩალიკაშვილს და ბეჟან ლორთქიფანიძეს საქართველოს პროკურატურა 2019 წლის 20-21 ივნისს, თბილისში, პარლამენტის წინ გამართული აქციის დროს ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას ედავება. შსს-მ, ლორთქიფანიძესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ის *„გამოირჩეოდა განსაკუთრებული აგრესიით პოლიციელების მიმართ, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა მათ და ძალადობით ცდილობდა კორდონის გარღვევას“*[108]. პროკურატურა მაჩალიკაშვილსაც სამართალდამცავთა წინააღმდეგ ძალადობას ედავებოდა.

➢ სასამართლო მონიტორინგი

2019 წლის 27 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, მორის მაჩალიკაშვილსა და ბეჟან ლორთქიფანიძეს, აღკვეთი ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა. მორის მაჩალიკაშვილთან მიმართებით, პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა. სასამართლოს ეს გადაწყვეტილებები, ისევე როგორც ამ კვლევაში განხილული სხვა პირთა საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები, ზოგადი და დაუსაბუთებელია. სასამართლო აბსტრაქტულად მიუთითებს, რომ პირთა მიმართ პატიმრობის გამოყენების სათანადო სამართლებრივი საფუძველი არსებობს. თუმცა, სათანადოდ არ არის დასაბუთებული, საქმეებში არსებული რომელი კონკრეტული მტკიცებულებები ქმნიდა რეალურ საფრთხეს, რომ ბეჟან ლორთქიფანიძე და მორის მაჩალიკაშვილი მიიმალებოდნენ, ხელს შეუშლიდნენ მართლმსაჯულების განხორციელებას ან ზეგავლენას მოახდენდნენ მოწმეებზე. მაჩალიკაშვილის მიმართ გამოყენებული პატიმრობა ძალაში დარჩა წინასასამართლო სხდომის

---

[105] იხ. ჰარაკჩიევი და ტოლუმოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Harakchiev and Tolumov v. Bulgaria), განაცხადები nos. 15018/11 და 61199/12, 08 ივლისი 2014 წ., ხელმისაწვდომია: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-145442. პუნქტები 203-214 და 260.

[106] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი: ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2BUS5Rk.

[107] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლი: https://bit.ly/3fdeuHP.

[108]იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/2Uy8phb. ბოლოს ნანახია: 04.02.2020.

ეტაპზეც, მიუხედავად დაცვის მხარის მტკიცებისა, რომ ბრალდებულის პატიმრობაში დატოვების მიზანი არ არსებობდა. წინასასამართლო სხდომაზევე არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა საკმარისი მტკიცებულებების არ არსებობის საფუძვლით მაჩალიკაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე[109].

2019 წლის 2 აგვისტოს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC) მორის მაჩალიკაშვილის საქმეზე პირველადი სამართლებრივი შეფასება წარმოადგინა. ორგანიზაციის შეფასებით, პროკურატურის ინფორმაცია ვერ ადასტურებდა, რომ მორის მაჩალიკაშვილმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება. კერძოდ, წარმოდგენელი მტკიცებულებები არ ქმნიდა დასაბუთებულ ვარაუდს, რომ მორის მაჩალიკაშვილს ჰქონდა პოლიციის მიმართ ძალადობის განზრახვა და ამ მიზნით ის თავდასხმით, შემტევ, განმეორებით და ინტენსიურ ძალადობას ახორციელებდა. საქმის ძირითადი და ერთადერთი მტკიცებულება, ადგილზე ჩაწერილი ვიდეომასალის სახით, მხოლოდ იმას აჩვენებდა, რომ ის მისი ბიძის გვერდში ყოფნას ცდილობდა, არსებითად პასიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და პოლიციასა და შეკრების სხვა მონაწილეთა მასებს შორის მიწოლისას იჭყლიტებოდა. ჭყლეტისგან თავის დასაღწევად იგი ხელს იქნევდა, რომელიც მხოლოდ ერთხელ ხვდება პოლიციის ფარს. ვიდეომასალაში არ ჩანდა, მისი მხრიდან კორდონის გარღვევისა და შეტევის, პოლიციის მიმართ ძალადობის, მისი ეკიპირების წართმევის, ან თავდაცვის მიზნით აქტიური მოგერიების მცდელობაც კი[110].

2019 წლის 1 აგვისტოს სააპელაციო სასამართლომ განიხილა ბეჟან ლორთქიფანიძის საქმე. მანამდე ლორთქიფანიძის მეუღლემ განაცხადა, რომ „მისი დაკავება პოლიტიკური ხასიათის იყო და მათ საქმე ჰქონდათ შერჩევით სამართალთან"[111]. 2019 წ. 10 აგვისტოს, ბეჟან ლორთქიფანიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახე – პატიმრობა 5000-ლარიანი გირაოთი შეიცვალა[112].

2019 წლის 17 სექტემბერს გამართულ სასამართლო პროცესზე, მორის მაჩალიკაშვილი კვლავ პატიმრობაში დატოვა სასამართლომ. ხოლო ბეჟან ლორთქიფანიძის ადვოკატის შუამდგომლობა დევნის შეწყვეტის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2019 წლის 24 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მოსამართლემ დაცვის მხარის მიერ დაყენებული არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა[113]. მორის მაჩალიკაშვილის ადვოკატის, ქეთი ჩუთლაშვილის თანახმად, დაცვის მხარე ითხოვდა ერთ-ერთი პოლიციელის მოწმეთა სიიდან ამორიცხვას. პოლიციელი 20 ივნისის ღამის შესახებ პატაკში წერს, რომ ოპერატიული ინფორმაცია მიაწოდეს, თითქოს მორის მაჩალიკაშვილი „აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ძალადობრივ მოქმედებაში". მოსამართლემ არც ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა. დაცვის მხარის განცხადებით, კვლავ არც ერთ მოწმეს არ გაუჟღერებია, რომ მორის მაჩალიკაშვილი ძალადობდა[114].

2019 წლის 7 ოქტომბერს საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. 2019 წლის 8 ოქტომბერს გამართულ სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის ნაწილმა წარმოთქვა შესავალი სიტყვა. პროცესი გადაიდო პროკურორის შუამდგომლობით, ვინაიდან მას პარალელურად სხვა პროცესი ჰქონდა ჩანიშნული. 15 ოქტომბერს დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების სახის პატიმრობის გირაოთი შეცვლის თაობაზე, რაც არ დაკმაყოფილდა.

---

[109] იხ. EMC-ის წარმომადგენლის კომენტარი: https://bit.ly/2Ao0bBu. ბოლოს ნანახია: 04.06. 2020.

[110] იხ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის პირველადი სამართლებრივი შეფასება (EMC), მორის მაჩალიკაშვილის საქმეზე: https://bit.ly/37iNhAM.

[111] ბეჟან ლორთქიფანიძის მეუღლის განცხადება: https://bit.ly/30Rmn1I. ბოლოს ნანახია: 07.06.2020.

[112] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ. დამატებით, იხ. https://bit.ly/2AWT6aW. ბოლოს ნანახია: 29.02.2020.

[113] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ. დამატებით, იხ. https://bit.ly/2AWT6aW. ბოლოს ნანახია: 29.02.2020.

[114] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ. დამატებით, იხ. https://bit.ly/2AWT6aW. ბოლოს ნანახია: 29.02.2020

მორის მაჩალიკაშვილის უფლებებისა და ინტერესების დამცველის შეფასებით, ყველა სხდომაზე ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები იყო აბსოლუტურად იდენტური. ისინი მოიცავდა გამოკითხვის ოქმებს და გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი იყო პოლიციის თანამშრომელი[115]. ასევე, პროკურატურამ წარმოადგინა რამდენიმე ვიდეოჩანაწერი და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმები, რომლებიც საერთოდ არ იყო შემხებლობაში მორის მაჩალიკაშვილის სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებასთან[116].

2019 წლის 13 ნოემბერს პროცესზე დაცვის მხარემ კვლავ ეჭვქვეშ დააყენა მოწმეთა სანდოობა, ვინაიდან ისინი ვერ იხსენებდნენ მოვლენებს, რაც მოხდა 2019 წლის 20-21 ივნისს. 25 ნოემბერს და 19 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომებზე დაიკითხა ბრალდების მხარის მოწმეები - სამი პოლიციელი. ადვოკატის განცხადებით, კვლავ არც ერთ მოწმეს არ გაუჟღერებია, რომ მორის მაჩალიკაშვილი სამართალდამცავზე ძალადობდა. ასევე, მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები ერთმანეთს არ ემთხვევა. 2020 წლის 14 იანვარს, სასამართლო სხდომაზე დაიკითხა ორი მოწმე, მესამე არ გამოცხადდა, რის გამოც სხდომა გადაიდო, ხოლო 21 იანვარს 2 სამართალდამცავი მოწმე დაიკითხა. ამ მოწმეთა ჩვენებებმა ვერ დაადასტურეს ბეჟან ლორთქიფანიძის ბრალეულობა სისხლის სამართლის საქმეში.

2020 წლის 3 თებერვალს მორის მაჩალიკაშვილის ადვოკატმა, მარიამ კუბლაშვილმა სასამართლოს მორის მაჩალიკაშვილის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შუამდგომლობით მიმართა. მან, ასევე, დააყენა შუამდგომლობა, უდავოდ ყოფილიყო ცნობილი ბრალდების მხარის მტკიცებულებები. მოლაპარაკებები, ასევე, მიმდინარეობდა საპროცესო შეთანხმების დადებაზეც. ბრალდების მხარე და დაცვის მხარე ვერ თანხმდებოდნენ ბრალდების ნაწილზე, რასაც მორის მაჩალიკაშვილს ედავებოდნენ, კერძოდ - სახელმწიფო არეულობაში მონაწილეობა. პროკურორმა, ვინაიდან ბეჟან ლორთქიფანიძე მტკიცებულებებს სადავოდ ცნობდა, დააყენა შუამდგომლობა მისი საქმიდან მორის მაჩალიკაშვილის საქმის გამოყოფის შესახებ.

2020 წლის 6 თებერვალს, ბრალდებულ მორის მაჩალიკაშვილს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა და ის სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს[117]. თბილისის საქალაქო სასამართლომ მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა, მაჩალიკაშვილი დამნაშავედ სცნო სსკ-ის225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში (ჯგუფურ მოქმედებებში მონაწილეობა) და სასჯელის სახით 2 წლით პირობითი მსჯავრი განუსაზღვრა[118]. მორის მაჩალიკაშვილმა განაცხადა, რომ იგი ბრალს აღიარებს, მაგრამ არ ეთანხმება მას იმ ნაწილში, რომ პარლამენტში შეჭრა სურდა. იგი ამბობს, რომ ბიძას - მალხაზ მაჩალიკაშვილს იცავდა.

2020 წლის 11 თებერვალს, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, ბრალდების მხარემ წარადგინა შუამდგომლობა ახალი მტკიცებულების დართვის თაობაზე. ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ ბეჟან ლორთქიფანიძის საქმიდან გამოიყო მორის მაჩალიკაშვილის საქმე, რომელშიც მხარეებს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. ეს საქმე პირდაპირ კავშირშია ბეჟან ლორთქიფანიძის ბრალდებასთან, რის გამოც ბრალდების მხარემ იშუამდგომლა, რათა მორის მაჩალიკაშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენი დაერთოს ლორთქიფანიძის საქმეს. შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. ამავე სხდომაზე დაიკითხა ბრალდების მხარის მოწმე, რომელმაც ისაუბრა 2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტთან განვითარებულ მოვლენებზე.

2020 წლის 20 თებერვალს პროცესზე დაიკითხნენ ბრალდების მხარის მოწმეები. მათ არ უსაუბრიათ იმ ფაქტზე, რომ ბრალდებული ძალადობდა პოლიციელზე ან ცდილობდა

[115] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/2Ao18d2. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.
[116] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3hi6tmI. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.
[117] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3hdOZI9. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.
[118] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/2YhNjVu. ბოლოს ნანახია; 04.06.2020

პარლამენტში შეჭრას. 11 მარტს სხდომაზე დაიკითხა კიდევ ორი მოწმე. ამის შემდეგ, ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო, საქმეზე სასამართლოს სხდომა აღარ ჩატარებულა[119].

4. საპროცესო შეთანხმებების დადების პრაქტიკა

20-21 ივნისის მოვლენების დროს დაკავებული პირები, ძირითადად, საპროცესო შეთანხმებების საფუძველზე ან გირაოს სანაცვლოდ განთავისუფლდნენ პატიმრობიდან[120]. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო შეთანხმება გულისხმობს განაჩენის გამოტანას საქმის არსებითი განხილვის გარეშე, როდესაც ბრალდებული დანაშაულს აღიარებს და მიღწეულია შეთანხმება ბრალსა ან სასჯელზე[121]. აღნიშნულ საქმეებში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბრალდებულებს ხშირად აშკარად კაბალურ პირობებზე უწევთ დათანხმება, რადგან სასამართლო პროცესების გაჭიანურებისა და ხანგრძლივი ვადებიდან გამომდინარე, მათ ისეთი დანაშაულის აღიარება უწევთ, რომელიც, შესაძლოა, არც ჩაუდენიათ და ამასთან, პოლიციელთა ჩვენებების გარდა, ნეიტრალური მტკიცებულებებიც არ არსებობს. ამ არჩევანის წინაშე ბრალდებულები განსაკუთრებით მაშინ დგებიან, როცა მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა. სასამართლოები, ძირითადად, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ინფორმაციას ეყრდნობიან, რომლებსაც, ბრალდების მხარე, მოწმეების სახით კითხავს სასამართლოს პროცესზე. მათ ჩვენებებს კი, სასამართლოები, უმეტეს შემთხვევაში, უტყუარ მტკიცებულებებად მიიჩნევენ.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ სასამართლოს უფლება აქვს, შესთავაზოს მხარეებს, შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც ზემდგომ პროკურორთან უნდა იყოს შეთანხმებული[122]. ბრალდებულს აქვს უფლება, განაჩენის გამოტანამდე ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე, მაგრამ სასჯელის ზომის შეთავაზებისას პროკურორს ენიჭება ფართო დისკრეცია[123]. ხოლო მოსამართლეს, იმის გათვალისწინებით, რომ არა აქვს უფლება, ჩაერიოს მოლაპარაკების პროცესში და დამოუკიდებლად, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, შეცვალოს შეთანხმების პირობები[124], შეუძლია, მხოლოდ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება ან უარი თქვას მის დამტკიცებაზე[125].

საპროცესო შეთანხმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება, კანონიერია თუ არა მოთხოვნილი სასჯელი, არსებობს თუ არა საქმეში უტყუარი მტკიცებულებები ბრალის დასადასტურებლად და ა.შ[126]. აღნიშნული მოთხოვნები კი, 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებში დაცული არ არის. მეტიც, დაცვის მხარის წარმომადგენლებმა ადამიანის უფლებათა ცენტრს განუცხადეს, რომ საპროცესო შეთანხმებების დადება, წინამდებარე სისხლის საქმეებზე, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების „მიზანმიმართული პოლიტიკაა“, რადგან, ამ დროს, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბრალდებულები აღიარებენ მათ მიმართ წარდგენილ ბრალს.

საპროცესო შეთანხმების გამოყენება საქართველოში არაერთხელ გამხდარა შესწავლისა და მკაცრი კრიტიკის საგანი. საპროცესო შეთანხმების პრობლემები უკავშირდებოდა სუსტ

[119] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ. 31.03.2020.
[120] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში 20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული პირების შესახებ. არსებითი განხილვა: 20.11.2019, 16:10- 16:12 საათი.
[121] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[122] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[123] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილი.
[124] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მეექვსე ნაწილი.
[125] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მესამე პრიმა ნაწილი.
[126] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მესამე ნაწილი.

საკანონმდებლო გარანტიებსა და საპროცესო შეთანხმების მასობრივად ისეთი არაკანონიერი მიზნებით გამოყენებას, როგორიცაა: სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება, გამოძიების პროცესში ბრალდებულზე არასათანადო ზეგავლენის მოხდენა და სხვა. ამის საპასუხოდ კი, არსებობს სასამართლო ხელისუფლების მხოლოდ ფორმალური და სუსტი მაკონტროლებელი როლი საპროცესო შეთანხმების არაკანონიერი მიზნებით გამოყენების წინააღმდეგ.

5. აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პრაქტიკა

პრობლემაა ისიც, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებები საკმარისი არ არის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლებისთვის. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება აბსტრაქტული და დაუსაბუთებელია. წინასწარი პატიმრობის შესახებ პროკურატურის შუამდგომლობები უმეტესად შაბლონურია და მხოლოდ ზოგად მსჯელობას ემყარება. საგამოძიებო ორგანოების ნაბიჯები, გარკვეულ შემთხვევაში, ტოვებს აღქმას, რომ არა საკითხის სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, არამედ საზოგადოებაში ბრალდებულის მიმართ ნეგატიური აზრის ფორმირებას ემსახურება. მაგალითად, ობიექტურ დამკვირვებელს მომხდართან დაკავშირებით განსხვავებულ აღქმას უჩენს ზურაბ ბუდაღაშვილის გაიგივება პოლიტიკურ პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“[127]. ასევე, მიკერძოებული და ტენდენციურია შსს-ს მიერ ბეჟან ლორთქიფანიძის საქმესთან დაკავშირებით, საჯაროდ გავრცელებული ფრაგმენტებად დამონტაჟებული ვიდეო[128], რომელიც განსხვავდება იმავე შემთხვევაზე მედიით გავრცელებული სრული ვიდეომასალისაგან[129].

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი ადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის მტკიცებულებათა სტანდარტს[130]. კერძოდ, პირს რომ აღკვეთის ღონისძიება შეეფარდოს, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი - ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეებში, საქართველოს პროკურატურის მიერ ბრალის ამგვარი ფორმულირების მიუხედავად, წარმოდგენილი საქმის მასალები ვერ ქმნიან დასაბუთებულ ვარაუდს, რომ მსჯავრდებულები/ბრალდებულები მონაწილეობდნენ ჯგუფურ ძალადობაში, მით უფრო, თავს ესხმოდნენ ადგილზე მყოფ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს. პირის ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის დადასტურების მიზნით, პროკურატურა უნდა ფლობდეს იმგვარ მტკიცებულებებს, რომლებიც აშკარად აჩვენებს პირის განზრახვას, იყოს ჯგუფური ძალადობრივი ქმედებების მონაწილე, თავს დაესხას სამართალდამცველებს და თავისი მოქმედებებით ხელი შეუწყოს ჯგუფურ მოქმედებებს.

მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების შესახებ შუამდგომლობაში და საქმის მასალებში მითითებული ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა - მოწმეთა გამოკითხვის ოქმები, ჩხრეკისა და ამოღების ოქმები, დათვალიერების ოქმები, ექსპერტიზის დასკვნები, ზოგადი ხასიათის მატარებელია და არ წარმოადგენს საკმარის ფაქტობრივ საფუძვლებს არათუ მსჯავრდებისათვის, არამედ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისათვის.

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მნიშვნელოვან გარემოებებად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო[131] და საქართველოს სისხლის სამართლის

[127] იხ, ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/2UDhyoM. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.
[128] იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბეჟან ლორთქიფანიძის საქმეზე გავრცელებული ვიდეო: https://bit.ly/2C5odSm. ბოლოს ნანახია: 03.06.2020.
[129] იხ. ბეჟან ლორთქიფანიძის საქმეზე მედიით გავრცელებული სრული ვიდეოჩანაწერი: https://bit.ly/2zAeYc0. ბოლოს ნანახია: 03.06.2020.
[130] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი.
[131] იხ. გადაწყვეტილება Van Alphen v. the Netherland, 305/1988, სტრასბურგი. 1990 წლის 23 ივლისი: https://bit.ly/3h6MeIx.

საპროცესო კოდექსი[132] მიიჩნევს მიმალვის, მტკიცებულებების განადგურების, მოწმეებზე ზემოქმედების გზით საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის და დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხეებს. პატიმრობა, ასევე, გამართლებულია, როდესაც ბრალდებული აშკარა და მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საზოგადოებას და ეს საფრთხე შეუძლებელია, სხვაგვარად იქნას განეიტრალებული. მსგავსი გარემოებები და ფაქტორები მოცემულ სისხლის სამართლის საქმეებში არ არსებობდა.

გარდა ამისა, საქართველოს სსსკ-ის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა[133]. ეს რისკები კი, ბრალდების მხარის მიერ სრულიად დაუსაბუთებელია.

20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიცემული სამართალდამცველებისა და დემონსტრანტების საქმეების შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხშირად ვლინდება დიფერენცირებული დამოკიდებულება ერთნაირი შემთხვევების მიმართ, გონივრული და ობიექტური საფუძვლების გარეშე, რაც გამოიხატება დემონსტრაციაში მონაწილე პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა და მათ დაპატიმრებაში, როცა ბრალდების მხარის შაბლონური, აბსტრაქტული და ხშირად, სრულიად იდენტური შუამდგომლობებისა და სასამართლოების მიერ მათი გაზიარებით მიღებული, დაუსაბუთებელი განჩინებებით, ყოველი დემონსტრანტის მიმართ გამოყენებულია წინასწარი პატიმრობა.

6. შერჩევითი სამართალი

„საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ყოველი ადამიანის კანონის წინაშე თანასწორობას უზრუნველყოფს. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა იმ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თანაბრად აღიარებას და დაცვას, ვინც იმყოფება თანაბარ პირობებში და კანონით განსაზღვრული საკითხის მიმართ აქვს ადეკვატური დამოკიდებულება. ეს პრინციპი მოიცავს ხელისუფლების საკანონმდებლო საქმიანობის სპექტრს, რათა თანაბარ პირობებსა და გარემოში მყოფ ინდივიდებს თანაბარი პრივილეგიები მიენიჭოთ და თანაბარი პასუხისმგებლობი დაეკისროთ. განსხვავებული საკანონმდებლო რეგულირება ყველა შემთხვევაში არ ჩაითვლება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევად. კანონმდებელს უფლება აქვს, კანონით განსაზღვროს განსხვავებული პირობები, მაგრამ ეს განსხვავება უნდა იყოს დასაბუთებული, გონივრული და მიზანშეწონილი. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დიფერენცირებულობის თანაბარი დონე ერთსა და იმავე პირობებში მყოფი სუბიექტებისათვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევის დადგენისას ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით: მე-14 მუხლის დარღვევას ადგილი აქვს მაშინ, როცა სახეზეა: ა) დიფერენცირებული დამოკიდებულება ერთნაირი შემთხვევების მიმართ, გონივრული და ობიექტური საფუძვლების გარეშე და ბ) არ არის დაცული პროპორციულობა მისაღწევ მიზანსა და მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებს შორის.

[132] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი.
[133] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი.

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპები მოითხოვს, სახელმწიფოს ყველა დარღვევაზე ჰქონდეს ადეკვატური რეაგირება და დემონსტრანტების თუ პოლიციის მხრიდან განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების განურჩევლად, დაიწყოს შესაბამისი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები, ობიექტურად, მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ. ყოველი ამგვარი რეაგირება კონსტიტუციისა და საერთაშორისო სტანდარტების, კანონის მოთხოვნათა მკაცრი დაცვით, დასაბუთების მაღალი სტანდარტით და საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებულობით უნდა განხორციელდეს.

2019 წლის 20-21 ივნისის ღამით და შემდგომში დემონსტრანტების წინააღმდეგ დაწყებული სამართალწარმოება, სახელმწიფოში არსებული ე.წ. შერჩევითი სამართლის ერთ-ერთი მაგალითია. ამაზე მიუთითებს დაზარალებული და პასუხისგებაში მიცემული მოქალაქეებისა და დაზარალებული და პასუხისგებაში მიცემული სამართალამცავების სტატისტიკურ მონაცემებს შორის არსებული თვალშისაცემი რაოდენობრივი განსხვავება.

ოფიციალური მონაცემებით, 20-21 ივნისის მოვლენებისას აღრიცხულია 275 მოქალაქე, რომლებმაც სხვადასხვა სიმძიმის ჯანმრთელობის დაზიანება მიიღეს, მათ შორის არიან: 187 სამოქალაქო პირი, 38 ჟურნალისტი[134], შსს-ს 73 თანამშრომელი. მიყენებული დაზიანებების გამო ქირურგიული ჩარევა დასჭირდა 28 პირს, მათ შორის, ოფთალმოლოგიური ოპერაცია ჩაუტარდა 8-ს, ხოლო ნეიროქირურგიული – 4 პირს[135]. ასევე, ტრავმის შედეგად ორმა სამოქალაქო პირმა ცალი თვალი დაკარგა[136]. ამ დროისათვის, პროკურატურის მიერ მხოლოდ 8 სამოქალაქო პირია დაზარალებულად ცნობილი. მაშინ, როცა იმავე დღეს განვითარებული მოვლენების შედეგად, შსს-ს 68 თანამშრომელია დაზარალებულად ცნობილი. შესაბამისად, დანარჩენ დაზარალებულებს, რომლებსაც დღემდე ეს სტატუსი ოფიციალურად არა აქვთ, სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომის უფლებამოსილება არ გააჩნიათ[137].

შსს-ს მიერ წარმოებული გამოძიების ფარგლებში, საპროტესტო აქციის 17 მონაწილეს წარედგინა ბრალი, რომელთაგან ყველას მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა იქნა გამოყენებული, მაშინ, როდესაც პროკურატურამ მხოლოდ 3 (სამი) პოლიციელის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, სასამართლომ კი მხოლოდ 1 (ერთ) სამართალდამცველს შეუფარდა პატიმრობა და მასაც აღკვეთის ეს ღონისძიება უფრო მსუბუქი ღონისძიებით - გირაოთი შეეცვალა.

პრობლემურია დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საკითხები. თავდაპირველად, სხვა პირებთან ერთად, პროკურატურამ დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე, უარი უთხრა მაკო გომურს და გიორგი სულაშვილს, რომლებმაც რეზინის ტყვიის მოხვედრის შედეგად დაკარგეს თვალი[138]. თუმცა, რამდენიმეთვიანი ბრძოლის შემდეგ, მათ დაზარალებულის სტატუსი მიანიჭეს[139]. სხვა პირებთან ერთად, ამ დრომდე არ აქვთ მინიჭებული დაზარალებულის სტატუსი ჟურნალისტებს, რომლებმაც მძიმე დაზიანებები მიიღეს[140].

ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართალწარმოებაშია 20-21 ივნისის მოვლენების დროს დაშავებული სამი ჟურნალისტის - მერაბ ცაავას („გურია ნიუსი"), ბესლან კმუზოვის („კავკაზსკი უზელი") და ზაზა სვანაძის საქმეები, რომელთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ორგანიზაციის იურისტები იცავენ. ადამიანის უფლებათა ცენტრმა რამდენჯერმე მიმართა საქართველოს პროკურატურას დაშავებული ჟურნალისტებისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით, მაგრამ თხოვნა არცერთ შემთხვევაში არ დაკმაყოფილდა.

---

[134] იხ. დაშავებულ ჟურნალისტთა სია: https://bit.ly/3e1fy1m. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.
[135] იხ. ,,დაკარგული თვალის მიღმა", 20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: https://bit.ly/2UC5Rif.
[136] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3e1fTkE. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.
[137] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლი. https://bit.ly/37q4M2e.
[138] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3fgNTto. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.
[139] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3fkBp42. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.
[140] იხ. ინფორმაცია სრულად: https://bit.ly/3d0yPP1. ბოლოს ნანახია: 04.06.2020.

დაზარალებულად ცნობაზე უარის შემდეგ ადვოკატებმა საჩივრით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ბესლან კმუზოვის, მერაბ ცაავას და ზაზა სვანაძის დაზარალებულად ცნობის თაობაზე. 2019 წლის 9 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიამ, საქმის არსებითი განხილვისა და მხარეთა პოზიციის გათვალისწინების გარეშე მიიღო განჩინება საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც ზემდგომ ინსტანციაში არ საჩივრდება. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, მომჩივნებმა ვერ ისარგებლეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით[141].

მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ცენტრმა ეროვნულ დონეზე ყველა არსებული სამართლებრივი საშუალება გამოიყენა, რათა მისი დაცვის ქვეშ მყოფი ჟურნალისტები საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაზარალებულად ეცნო და ეწარმოებინა დროული, ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიება, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო, ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა. სარჩელებში მითითებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 (გამოხატვის თავისუფლება); მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება); მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება) მუხლების დარღვევების თაობაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წარმოებაში ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული სამივე სარჩელი მიიღო[142].

სახელმწიფოს მხრიდან დღემდე არ გადადგმულა ნაბიჯები სამართალდამცავი ორგანოების კანონდამრღვევი წარმომადგენლების გამოვლენისა და პასუხისგებაში მიცემისათვის. ამასთან, არც შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან მომხდარა პოლიტიკურ პასუხისმგებლობის გაზიარება, არც დემონსტრაციის დაშლისას გამოკვეთილი სისტემური პრობლემები ყოფილა გაანალიზებული და გააზრებული. სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე, ერთეული შემთხვევების გარდა, საქართველოს პროკურატურის მიერ საერთოდ არ შეფასებულა ზემდგომ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალური ანგარიშით, სამართალდამცავთა წინააღმდეგ მიმდინარე ძირითადი სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოყოფილია 3 საქმე, სადაც ივლის-აგვისტოს თვეებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულია მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისა და არალეტალური იარაღის უსაფუძვლო გამოყენების შედეგად მოქალაქეთა დაზიანების გამო 3 პოლიციელის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის საჭირო მტკიცებულებები[143]. პროკურატურამ 3 ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რომელთაგან 1 ბრალდებულს - შეეფარდა პატიმრობა (მოგვიანებით შეიცვალა გირაოთი) და 2 ბრალდებულს კი - გირაო[144]. სახალხო დამცველის შეფასებით, საქმის მასალების შესწავლის შედეგად, არ გამოვლენილა ისეთი გარემოებები, რაც ამ სამართალდამცავების პატიმრობის კანონისმიერ ვალდებულებას დააკმაყოფილებდა, ვინაიდან არ არსებობდა მათი მიმალვისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლის, ახალი დანაშაულის ჩადენის კონკრეტული საფრთხე[145]. რაც შეეხება პროკურატურის შუამდგომლობას პატიმრობის გამოყენების თაობაზე, იგი სავარაუდოდ

[141] იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი: https://bit.ly/2C2NQTH.
[142] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესრელიზი: https://bit.ly/37FPTsB.
[143] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში; გვ. 26; 2020 წელი: https://bit.ly/2UF7Sdi.
[144] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში; გვ. 27; 2020 წელი: https://bit.ly/2UF7Sdi.
[145] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 205, ნაწ. 1. https://bit.ly/3dN6U6r. ბოლოს ნანახია: 01.06.2020.

გამოწვეული იყო უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის შემთხვევაში მოსალოდნელი საზოგადოებრივი ნეგატიური პოზიციის მიმართ სიფრთხილით.

სამართალდამცველების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია. პროცესზე მონიტორინგს ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორი ახორციელებს.

7. დასკვნა

20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეების შესწავლისას იდენტიფიცირებული ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, პოლიციელების მხრიდან გამოვლენილი კანონდარღვევები და სისხლისსამართლებრივი დევნის პრაქტიკა აჩენს უამრავ კითხვას სახელმწიფოს მხრიდან შერჩევით მიდგომასა და კონკრეტული პირების მიმართ, სისხლის სამართლის საქმეების მიზანმიმართულად წარმოების თაობაზე, რაც სისტემური ხარვეზების აღმოფხვრის ნაცვლად, დემონსტრანტების დასჯის სურვილსა და მათ დაპატიმრებაში გამოიხატება. საქმეთა შესწავლამ გამოავლინა, რომ ხშირ შემთხვევაში გამოძიებას ამოძრავებს ერთადერთი მიზანი - მიაღწიოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას.

კვლევა ცხადყოფს, რომ:

✓ *20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეებზე გამოძიება 2 მიმართულებით მიმდინარეობს: მოქალაქეების მხრიდან ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ფაქტებზე და ასევე, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ცალკეულ ეპიზოდებში ძალის გადამეტების შეთხვევებზე. დაზარალებული და პასუხისგებაში მიცემული დემონსტრანტებისა და დაზარალებული და პასუხისგებაში მიცემული სამართალდამცავების სტატისტიკურ მონაცემებს შორის არსებული თვალშისაცემი რაოდენობრივი განსხვავება მიუთითებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში საგამოძიებო ორგანოების ქმედებები შესაძლოა, დემონსტრანტი მოქალაქეების სადამსჯელო შინაარსსაც ატარებდეს და სამომავლოდ აქციის მონაწილეების დაშინებისკენ იყოს მიმართული.*

✓ *ირაკლი ოქრუაშვილის საქმეში, წინასწარი პატიმრობის მოთხოვნის შესახებ გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა დაუსაბუთებელი და შაბლონური იყო. პატიმრობის მოთხოვნა მხოლოდ აბსტრაქტულ მსჯელობასა და საეჭვო ვარაუდებს ემყარებოდა. აღკვეთის ღონისძიების განხილვისას საქმეში ყველა მოწმე პოლიციელი იყო;*

✓ *ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ პროკურატურის მოთხოვნაც შაბლონური იყო და მასში საკმარისად არ იყო დასაბუთებული, რატომ უნდა ყოფილიყო გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უკიდურესი ფორმა - წინასწარი პატიმრობა. გარდა ამისა, დასაბუთება არ ახლავს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას, ნიკანორ მელიასთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეზღუდვის, ხოლო შემდგომ - თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ განჩინებას. გენერალური პროკურატურის მიერ არგუმენტების გასამყარებლად მოყვანილი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) რამდენიმე საქმე, რომელთა უმრავლესობა არათუ ფაქტობრივი გარემოებებით, არამედ ზოგადი დასაბუთების სტანდარტითაც კი არ მიესადაგება ნიკანორ მელიას საქმეს;*

✓ *გიორგი რურუას საქმეში გამოკვეთილია სამართლებრივი პრობლემები: 1) დაირღვა ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება; 2) დაირღვა ბრალდებულისთვის უფლება-მოვალეობების განმარტების უფლება/ვალდებულება 3) პრობლემურია ნიმუშის აღებაზე უარის თქმის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის მოტივით (სსკ-ის 381-ე მუხლის 1 ნაწილი); 4) პრობლემურია ნიმუშის აღებისას ჩარევის პროპორციულობის საკითხი და ა.შ.*

✓ *თბილისის საქალაქო სასამართლომ, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეზღუდვისას, არ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში აღნიშნული არაერთი დასაბუთებული შეფასება; შედეგად, არათანაზომიერად შეიზღუდა ნიკანორ მელიას, როგორც პარლამენტის წევრის უფლებები. თბილისის საქალაქო სასამართლომ და სააპელაციო სასამართლომ, საქმის განხილვისას, ერთიან კონტექსტში არ განიხილა საქართველოს კონსტიტუციით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითა და პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, საერთოდ არ მიიღო მხედველობაში პარლამენტის წევრის იმუნიტეტისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები;*

✓ *წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ განჩინებები, განაჩენები და სხვა გადაწყვეტილებები აბსტრაქტული და დაუსაბუთებელია. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ თითქმის ყველა (დაახლოებით, 98%) დაკავებული პირის მიმართ პირველი მოთხოვნისთანავე არ ხდება საპროცესო შეთანხმების გაფორმება, იმ მოტივით, რომ დაუსაბუთებელია შუამდგომლობა. თუმცა, ამის შემდეგ, წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადის გასვლამდე, ისე, რომ ახალი გარემოებები არ გამოკვეთილა, სასამართლო ამტკიცებს ბრალდების მხარესა და ბრალდებულს შორის დადებულ საპროცესო შეთანხმების პირობებს, რის შედეგადაც სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი და ათავისუფლებს ბრალდებულებს სასამართლო დარბაზიდან. სასამართლო ზოგადი, ბუნდოვანი მსჯელობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა წინასწარი პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამგვარი მიდგომა არღვევს საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ მოთხოვნებს, რომლებიც უშუალოდ წინამდებარე საქმეების შეფასებისას იქნა განხილული.*

✓ *რჩება შთაბეჭდილება, რომ საპროცესო შეთანხმებების გაფორმება, პროკურატურისა და სასამართლოს მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია, რადგან ასეთ შემთხვევაში, პირები აღიარებენ წარდგენილ ბრალდებას და სასამართლოს, შესაბამისად, გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენები.* ***ამჟამად, 20-21 ივნისის მოვლენების მონაწილეთაგან მხოლოდ ბეჟან ლორთქიფანიძე და ბესიკ თამლიანი არ აღიარებენ ბრალს და არც საპროცესო შეთანხმების დადებას აპირებენ, ვინაიდან, თავს უდანაშაულოდ ცნობენ.***

✓ *შსს-ს გამოძიების ფარგლებში, აქციის 17 მონაწილეს წარედგინა ბრალი, რომელთაგან ყველას მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობაა გამოყენებული, მაშინ, როდესაც პროკურატურამ მხოლოდ 3 (სამი) პოლიციელის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, სასამართლოს კი, ერთის გარდა, არცერთისთვის არ შეუფარდებია პატიმრობა. იმ ერთ შემთხვევაშიც პატიმრობა გირაოთი შეიცვალა.*

✓ *პრობლემურია დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საკითხები. ამ დროისათვის, მხოლოდ 8 სამოქალაქო პირია დაზარალებულად ცნობილი, მაშინ, როცა გამოძიებამ შსს-ს 68 თანამშრომელი ცნო დაზარალებულად.*

✓ *პროკურატურა და სასამართლო დასაბუთების გარეშე აცხადებენ უარს დაშავებული დემონსტრანტებისა და ჟურნალისტებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე.*